"პროფესიული განათლება, დასაქმება და ახალგაზრდები იმერეთის რეგიონში"

კვლევის ანალიზი

აპრილი, 2021

საქართველო

წინამდებარე კვლევა განხორციელებლუა საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციისა და მისი პარტნიორი გერმანული ორგანიზაციის BWMV e.V. პროექტის - „პროფესიული განათლება და პარტნიორობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში“ ფარგლებში.

შესავალი:

პროფესიული განათლების ძირითადი მიზნებია - არსებული შრომითი ბაზრის შესწავლა და შესაბამისი რეაგირება, მაქსიმალური დაახლოება ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან და მისი გამოცდილების დახმარებით შესაბამისი სტრუქტურის მომზადება, პროფესიულ-საგანმანათლებლო მოთხოვნების განსაზღვრა და მათი დაკმაყოფილება, სოციალური დაცვის ხელშეწყობა, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადება - გადამზადება და დახმარება დასაქმების კუთხით (საქ. კანონი პროფ. განათლების შესახებ).

საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში არაერთი უმნიშვნმელოვანესი რეფორმა გატარდა ბოლო წლების განმავლობაში შემუშავებული 2017-2021 წლის სტრაგიის მიხედვით, რომლის საკვანძო ამოცანებია: პროფესიული განათლების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა და სისტემის ინტერნაციონალიზაცია; მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პრინციპზე დაფუძნებული პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და მიმზიდველობის გაზრდა. აღნინული მიზნების მისაღწევად არაერთი აქტივობა განხრციელდა ქყვყნის მასშტაბით ყველა იმ სირთულის აღმოსაფხვრელად, რაც ახლავს პროფესიული განათლების სისტემას, მატ შორის, შრომის ბაზარზე გადასვლის პროცესი და მასთან ასოცირებული ჩიხები, კერძო სექტორის ჩართულობის სიმწირე, კერძო და საჯარო თანამშრომლობის სისიუსტე და ა.შ. რეალურად, უნდა აღვნიშნოთ, რომ მსგავსი გამოწვევები და პრობლემები მხოლოდ საქართველოს რეალობა არ არის, თუმცა ისეთი ეკონომიკის ქვეყნისთვის, როგორიც საქართვლოა, ზემოაღნიშნული გამოწვევები კიდევ უფრო მკვეთრია და ამავდროულად მუდმივი გაუმჯობესების მცდელობების საგანიც.

პროფესული განათლების რეფორმებში განსაკუთრებული როლი მიუძღვით საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებს, მათ შორის: ევროკავშირს (EU), გერმანიის საერთაშორისო განვითარების საზოგადოება (GIZ), გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკი (KFW), ბრიტანეთის საელჩოს, კარგი მმართველობის ფონდი (GGF), გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), აზიის განვითარების ბანკი (ABD), მეკლენბურგ წინა პომერანიის დასაქმებელთა ასოციაციათა გაერთიანება (BWMV e.V) და სხვ. დუალური პროგრამების დანერგვის, კერძო და საჯარო თანამშრომლობის გაძლიერების, თვალსაზრისით და ა.შ. კოლეჯებში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების და ზოგადად პროფესიული განათლების იმიჯისა და საზოგადოებაში მისი წახალისების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიმართულებით და ა.შ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს რეგიონული განვითარების მიზნებიდან გამომდინარე ის ინფრაქსტრუქტურული თუ სარეაბილიტაციო პროექტები, რომელიც ხორციელდება საქართველოს სხვადასხვა ადგილას, მათ შორის იმერეთის რეგიონშიც. მიუხედავად მიღწევებისა, ჯერ კიდევ უამრავი გამოწვევის წინაშეა პროფესიული განათლების სფერო, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს შრომის ბაზრის რეგულარული და სისტემური (როგორ რეგიონული, ისე წროვნული) კვლევის დანერგვა, დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის მეთოდოლოგია და ა.შ. სისტემის სრული შესაბამისობის მისაღწევად.

პრეოქტის შესახებ

„პროფესიული განათლებისა და პარტნიორობის პროექტი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში“ ხორციელდება საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციისა (GEA) და მისი პარტნიორი

ორგანიზაციის BWMV e.V. მიერ 2017 წლიდან გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) და SEQUA-ს ფინანსური მხარდაჭერით. პრექტის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ახალგარზდების კონკურენტუნარიოანობის ზრდა შრომის ბაზარზე და ბიზნესის ჩართულობის ზრდა პროფესიულ განათლებაში. პროექტის აქტივობათა უმრავლესობა ფოკუსირებულია პროფესიული ორიენტაციის მიმართულების გაძლიერებაზე, როგორც პროფესიული განათლების ფუნდამენტსა და შესაბამისად, აღნიშნული სფეროს პოპულარიზაციაზე. პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს ვიზიტები ათობით სკოლაში, სადაც ბავშვებისთვის ტარდება პროფ. ორიენტაციის ადაპტირებული მოდულები, რომელთაგან დიდი ნაწილი ადაპტირდა გერმანული ანალოგებიდან. გარდა ამისა, აღნიშნული პროექტის უმთავრესი ფოკუსია ბიზნესის ყოველწლიური კვლევა და შესაბამისი ანალიზი, არსებულ და სამომავლო საკადრო საჭიროებებთან მიმართებაში. სწორედ მსგავსი კვლევების შედეგები უნდა გახდეს პრფესიული ორიენტაციისა და პროფესიული განათლების დაგაგმვის ქვაკუთხედი, რომელიც ორიენტირებულ იქნება შრომის ბაზრის რეალურ მოთხოვნებსა და საჭიროებებზე.

COVID 19-ის პანდემია და განათლება

აღნიშნული კვლევის ანალიზი განსაკუთრებით საინტერესოა COVID19-ის პანდემიის ფონზე. COVID 19-მა აქამდე წარმოუდგენელი გამოწვევების წინაშე დააყენა სრულიად მსოფლიოს ბიზნეს სამყარო. რისი განუყოფელი ნაწილიცაა განათლება. ჯერ ვერავინ პროგნოზირებს, რამდენი ხანი გაგრძელდება არსებული სიტუაცია და საბოლოოდ როგორ აისახება ის ბიზნესზე, ზოგადად ეკონომიკასა თუ განათლებაზე, ეროვნულ თუ გლობალურ ჭრილში. თუმცა ნათელია, რომ ქართული კომპანიების დიდ ნაწილს მოუწევს გადამწყვეტი ბრძოლა არსებული კრიზისული სიტუაციის დასაძლევად. შესაბამისად კრიტიკულად მნიშვნელოვანია კომპანიების სწრაფი და პროაქტიული ქმედება არსებული კრიზისის დასაძლევად მისი ოპერირების ყველა სფეროში, მათ შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოოვანია შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის მთელი რიგი ღონისძიებები და სისტემები სამუშაო გარემოს უსაფრთხოებისა და თანამშრომელთა ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად. თუმცა, ამ ზემოხსენებულის თანმდევი ნაწილია განათლება და ის პროექტები თუ აქტივობები, რომელიც მიზნად ისახავს პროფესიული განათლების წახალისებას და მასში ბიზნესის მეტ ჩართულობას.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია COVID-19-ის პანდემიის პირველივე დღეებიდან ღებულობს ინფორმაციას წევრი და არა-წევრი კომპანიებიდან ყოველდღიურ რეჟიმში. შესაბამისად, ასოციაცია არაერთ აქტივობას ახორციელებს არსებული გამოწვევების საპასუხოდ და ერთ-ერთი მათგანია ის კვლევები და შესაბამისი რეკომენდაციები, რომელიც საინტერესო და გასათვალისწინებელია ყველა დაინტერესებული მხარისათვის. მნიშვნელოვანია პროექტის - „განათლებისა და პარტნიორობის პროექტის“ მოქნილი დამოკიდებულება არსებულ პანდემიაზე, რომელიც გამოიხატა სკოლის მოსწავლეთათვის პროფესული ორიენტაციის აქტივობების გადატანამ დისტანციურ ფორმატებზე. კერძოდ, ასობით მოსწავლეს მიეწოდა დისტანციურად მოდულები - ღია კარის დღე, პროფესიული განათლების კონცეფცია - წარმატებული დასაქმების პერსპექტივა, სამეწარმეო აზროვნების ხელშეწობა, შეხვედრა წარმატებულ პროფესიონალთან, ბიზნესმენთან და სხვ..რამაც უდიდესი შედეგები გამოიღო მოსწავლეთა კმაყოფილების დონის ანალიზის მიხედვით.

საინტერესოა მოსაზრებაც, რომ COVID-19 პანდემიის გრძელვადიანი გავლენა საქართველოს განათლების სექტორზე პოზიტიური იქნება და ხელს შეუწყობს: სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების დაჩქარებულ ადაპტაციას, რეგიონებში ინტერნეტის ხელმისაწვდომობის ზრდას, მთავრობის, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და შინამეურნეობების მიერ განათლების ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას და ა.შ. თუმცა, პროფესიული განათლება მაინც წარმოუდგენელია „სწავლა კეთებით“ ფორმულის გარეშე.

წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს მოიცავს სამ ძირითად კომპონენტს:

1. კვლევის ანალიზი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და კერძო სექტორის თანამშრომლობის ხელშეწყობისთვის რომელშიც მონაწილეობა მიიღეს იმერეთის რეგიონში არსებულმა კერძო და სახელმწიფო პროფესიულმა სასწავლებლებმა. კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის არსებული მდგომარეობის შესწავლა და შესაბამის მიგნებებზე რეკომენდაციების გაცემა.

2. იმერეთის რეგიონში ახალგაზრდების მიერ მიღებულ განათლებასა და დასაქმების მაჩვენებლებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.

3. იმერეთის რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების საგანმანათლებლო პროექტებზე წვდომისა და მათი შრომის ბაზარზე ინტეგრაციის შესაძლებლობების გამოვლენა სახელმწიფო სამსახურების ხედვით.

კომპონენტი I - კვლევის ანალიზი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და კერძო სექტორის თანამშრომლობის ხელშეწყობისთვის რომელშიც მონაწილეობა მიიღეს იმერეთის რეგიონში არსებულმა კერძო და სახელმწიფო პროფესიულმა სასწავლებლებმა.

კვლევის მიზანი და ამოცანები:

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა იმერეთის რეგიონში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის არსებული მდგომარეობის შესწავლა, რეგიონში პროფესიულ კოლეჯებსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლური ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრა კვლევის ძირითადი ამოცანები:

- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კერძო სექტორთან თანამშრომლობის სტრატეგიისა და გეგმის შესწავლა;
- კერძო სეტორში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ინფორმირების გაზრდის გზების შესწავლა;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კერძო სექტორთან ურთერთობის დამყარების გზების შესწავლა;
- კერძო სექტორთან თანამშრომლობის ფარგლებში წარმოქმნილი დაბრკოლებებისა და სირთულეების შესწავლა;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კერძო სექტორთან პროფესიული სტუდენტების/კურსდამთავრებულების დასაქმების ხელსეწყობის მიზნით თანამშროლობის შესწავლა;
- დასაქმების ხელშეწყობისთვის კერძო სექტორტან თანამშრომლობის ფორმების შესწავლა;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების დასაქმების მიზნით მოძიების გზების შესწავლა;
- პარტნიორ კერძო სექტორთან თანამშრომლობის კმაყოფილების შეფასება;
- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ყველაზე პოპულარული პროფესიების გამოვლენა;
- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის ზოგადი დამოკიდებულების შესწავლა;

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებული იყო რაოდენობრივი მეთოდი.

კვლევისათვის საჭირო ინფორმაციის მიღების მიზნით, განისაზღვრა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები. რესპოდენტებს წარმოადგენდნენ სასწავლებლების დირექტორები, ადამიანური მართვის მენეჯერები, და ა.შ.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა 10 ინტერვიუ.

კვლევის მეთოდოლოგია	
მეთოდი	რაოდენობრივი კვლევა
ტექნიკა	ინტერვიუ
სამიზნე ჯგუფი	პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები/კოლეჯები
რაოდენობა	10 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება
კვლევის არეალი	საქართველო, იმერეთის რეგიონი
ინტერვიუს ხანგრძლივობა	20-25 წუთი

კვლევის ინსტრუმენტი

კვლევის მიზნების შესაბამისად შემუშავდა რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტი, რომელიც შედგებოდა 18 კითხვისაგან.

კვლევის შედეგები:

1.1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მდებარეობა



კვლევა ჩატარდა იმერეთის რეგიონში არსებულ კერძო თუ საჯარო პროფესიულ დაწესებულებებს შორის. შესაბამისად, კვლევის ლოკაცია 100%-იმერეთია.

1.2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფილი



გამოკითხული პროფესილი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან, (60%) წარმოადგენს მრავალპროფილურს, (10%) აგრარულს, (10%) სამშენებლოს, (10%) სამთო ტექნოლოგიურსა და (10%) სამედიცინო მიმართულების სასწავლებელს.

2.1. გაქვთ თუ არა კერძო სექტორთან თანამშრომლობის სამოქმედო გეგმა/სტრატეგია?



გამოკითხულ რესპონდენტთა პასუხების მიხედვით 60%-ს აქვს კერძო სექტორთან თანამშრომლობის სამოქმედო გეგმა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ხოლო დარჩენილი 40%-ს კი აღნიშნული არ გააჩნია. გამოკითხულთა მონაცემების მიხედვით საკმაოდ დიდ პროცენტულ მაჩვენებელს არ გააჩნია კერძო სექტორთან თანამშრომლობის გეგმა და სტრატეგია, რაც მოსალოდნელი შედეგების თვალსაზრისით არაეფექტური და არამყარია, რომ აღარფერი ვთქვათ მიზანმიმართულ კომუნიკაციასა და მჭიდრო თანამშრომლობის პერსპექტივაზე.

2.2. რა გზებს მიმართავთ რეგიონის დამსაქმებლთა შორის თქვენი კოლეჯის შესახებ ინფორმირების გაზრდისთვის? (გთხოვთ, შემოხაზოთ ყველა შესაძლო პასუხი) ?



შეკითხვაზე თუ რა გზებს მიმართვენ კოლეჯები დამსაქმებლებთან მათი დაწესებულების შესახებ ინფორმირებულობის ზრდისთვის, რესპონდენტთა პასუხები ასე გადანაწილდა: გამოკითხულთა 40% აწყობს პრეზენტაციებსა და ღია კარის დღეებს, 60% ინდივიდუალურ შეხვედრებს მიმართავს კომპანიებთან, 40% აკეთებს რეკლამირებას კოლეჯის შესახებ ინფორმირების გაზრდის მიზნით, ხოლო 10% კი თანამშრომლობს ბიზნეს ასოციაციებთან. მოცემული მონაცემები ცხადყოფს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების უდიდესი ნაწილი მართვას ინდივიდუალურ შეხვდრებს, რაც ასევე უკავშირდება კოლეჯის შესახებ პრეზენტაციისა თუ ღია კარის დღეების ორგანიზებას. რეკლამირების საკითხი ბუნდოვანია, თუ რას გულისხმობენ დაწესებულებები რეკლამირებაში. რაც შეეხება ასოციაციებთან თანამშრომლობას, ცალსახად მოცემული პროცენტული მაჩვენებლი ძალიან დაბალია, რადგან სწორედ ასოციაციებია (დამსაქმებელთა, სექტორული და სხვ..), რომელიც შუა რგოლი უნდა იყოს განათლებასა და ბიზნესს შორის. შესაბამისად, რეკომენდირებულია, რომ აღნიშნული მიმართულება გაძლიერდეს და კოლეჯბმა შეიმუშაონ სპეფიციკური სამუშაო გეგმა/სტრატეგია ბიზნეს ასოციაციებთან ნაყოფიერი თანამრომლობისთვის. გარდა ამისა, გრაფიკი 2.2. გვაჩვენებს, რომ კოლეჯების კერძო სექტორთან თანამშრომლობის სტარეგიის უქონლობა (40%) სწორედ სავარაუდო შედეგია წინამდებარე მონაცემებისა. კერძო სექორთან თანამშრომლობის სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის განუყოფელი ნაწილია ყველა ის ზემოხსენებული ინსტრუმენტი/ტექნიკა, რასაც იყენებენ თავად რესპონდენტები ბიზნესთან თავიანთი დაწესებულების შესახებ ცნობადობის ასამაღლებალდ, რაც გაცილებით უკეთეს შედეგებს გამოიღებდა, განსაკუთრებით გრძელვადიანი გეგმის, მისი მიღწევებისა და ინდიკატორების შეფასებისთვის. მეტიც, ასოციაციებთან თანამშრომლობაც დიდწილად სწორედ სტრატეგიის ამოცანა უნდა იყოს, რადგან ისინი წარმოადგენენ პლატფორმებს მსგავსი თანამშრომლობის ხელშეწყობისა და მიზანმიმართული კომუნიკაციის უზრუნველსაყოფისთვის. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბიზნეს ასოციაციებთან დაკავშირებით.

2.3. რა საშუალებებს მიმართავთ კერძო სექტორთან ურთიერთობების დასამყარებლად?



გამოკითხული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები კერძო სექტორთან ურთიერთობების დასამყარებლად პირად შეხვედრებსა (60%) და კერძო სექტორთან მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების (40%) გაფორმების გზით ახდენენ. წინამდებარე მონაცემები ემთხვევა შეკითხვის 2.2. პასუხებს, სადაც რესპონდეტების 60% აფიქსირებს, რომ დამსაქმებელებს პირადად ხვდებიან კოლეჯის შესახებ ინფორმირებულობის ზრდის მიზნით.

2.4. კერძო სექტორთან თანამშრომლობის რა გამოცდილება გქონიათ (გთხოვთ, შემოხაზოთ ყველა შესაძლო პასუხი) ?



პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლობის გამოცდილება კერძო სექტორთან შემდეგნაირია: სტუდენტებისთვის საწარმოო პრაქტიკა (10%), პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შემუშავება (70%), დუალური მიდგომით პროგრამების განხორციელება (20%), ფორმალური განათლების ფარგლებში პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამის განხორციელება (40%). რესპონდენტთა პასუხებიდან ნათელია, რომ კერძო სექტორთან თანამშრომლობის დიდი ნაწილი პროფესიული სტანდარტების შემუშავებით ხასიათდება. თუმცა, სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკას, რაც იდეალურ შემთხვევაში სწორედ საწარმოს ბაზაზე უნდა მიმდინარეობდეს, საკმაოდ დაბალია (10%). გარდა ამისა, დუალური პროგრამების განხორციელებასაც დაბალი მონაცემები აქვს, თუმცა ეს შესაძლოა აიხსნას აღნიშნული მიდგომის სიახლით თავად სახელმწიფოსთვის.

2.5. კერძო სექტორთან თანამშრომლობის რომელ ფორმის დანერგვას გეგმავთ მომავალში?



სამომავლოდ, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების 90% გეგმავს სტუდენტებისთვის საწარმოო პრაქტიკის მიმართულებით თანამშრომლობას; 70% რეპონდენტებისა ფიქრობს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შემუშავების მიმართულებით მოხდება მათთან თანამშრომლობა მომავალში, (50%) დუალური მიდგომით პროგრამების განხორციელებით, ხოლო გამოკითხულთაგან ყველა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება (100%) ფიქრობს, რომ ფორმალური განათლების ფარგლებში პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამის განხორციელების მიმართულებით შედგება მათი თანამშრომლობა.

ძალიან საინტერესო მონაცემებია წინამდებარე მონაცემები შეკიტხვაზე 2.2. და 2.3., უფრო კონკრეტულად: კითხვაზე 2.3. რესპონდენტების 90% აპირებს მომავალში საწარმოო პრაქტკის მიმართულებით თანამშრომლობას ბიზნესთან მაშინ, როცა მხოლოდ 10% ამბობს, რომ ამავე მიმართულებით აქვს გამოცდილება კერძო სექტორთან. ტუმცა, არ ფიქსირდება ის კონკრეტული გეგმა და სტრატეგია, რისი საშუალებითც მოხდება 2.2. კითხვის მონაცემების გაზრდა სამომავლოდ. აღნიშნული მიდგომა უკავშირდება დუალური პროგრამების განხორციელებასაც.

2.6. გთხოვთ, დაასახელოთ კერძო სექტორთან თანამშრომლობის ფარგლებში წარმოქმნილი 3 ყველაზე მნიშვნელოვანი დაბრკოლება/სირთულე



კერძო სექტორთან თანამშრომლობის ფარგლებში წარმოქმნილ ყველაზე მნიშვნელოვან დაბრკოლებებს წარმოადგენს: კერძო სექტორიდან კადრების დენადობა/არასტაბილური დასაქმება (10%), Covid 19-ით გამოწვეული პანდემია (20%), პროფესიული განათლების მქონე პირებისადმი უნდობლობა/მაღალი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაყენება კერძო

სექტორის მიერ (30%), პროფესიული კურსდამთავრებულთადმი ინტერესის არქონა/ვალდებულებების თავიდან აცილება (20%), ხოლო გამიკითხულ სასწავლებელთა 30% მიიჩნევს რომ არანაირი დაბრკოლება არ აქვთ კერძო სექტორთან თანამშრომლობისას. ასევე კოლეჯები პრობლემად მიიჩნევენ კერძო სექტორის მიერ გარკვეულ სფეროებში მაგ. საბაჟო, საბანკო, ქონების შეფასების და ა.შ. ბაკალავრის კვალიფიკაციის მოთხოვნის წაყენებას, როდესაც აღიშნულ სფეროებში პროფესიული კვალიფიკაცია საკმარისია. მნიშვნელოვანია რამდენიმე მონაცემი (შეკითხვიდან გამომდინარე, როგორც პრიორიტეტული სამი დაბრკოლება) - პროფესიული განათლების მქონე პირებისადმი უნდობლობა/მაღალი საკვალიფიკაციო მოთხოვნები კერძო სექტორის მხრიდან და პროფესიული სასწავლებების კურსდამთავრებულთადმი ინტერესის არქონა/ვალდებულებების თავიდან აცილება და Covid 19 გამოწვეული პანდემია. რეალურად, პირველი ორი მოსაზრება კავშირშია ერთმანეთთან, თუმცა საინტერესოა კერძო სექტორთან კარგი თანამშრომლობის ფონზე, რატომ აქვს ბიზნესს ნაკლები ინტერესი და ამავდროულად მაღალი საკვალიფიკაიო მოთხოვნები. რეალურად, მოცემული პრობლემა უკავშირდება ორივე მხარეს და უპირველეს ყოვლისა მათ შორის მწირ კომუნიკაციას, რაც სხვა თანმდევი პრობლემაა ზოგადად აღნიშნული სფეროებისთვის.

2.7. თქვენ მიერ დასახელებული გამოწვევების გადაჭრის რა გზა არსებობს?



რესპონდენტი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები თვლიან რომ გამოწვევების გადაჭრისთვის საჭიროა სტუდენტებისათვის სტაბილური სამუშაო გარემოს შექმნა (30%), კერძო სექტორის მხრიდან პროფესიული კვალიფიკაციის აღიარება (30%) და მთავრობის მიერ პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულებით დაინტერესებული კერძო სექტორის წახალისება (40%).

ასევე, როგორც ინტერვიუს დროს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებმა განაცხადეს, მნიშვნელოვანია კერძო სექტორის მეტი ინფორმირება პროფესიული განათლების მნიშვნელობის თაობაზე. მოცემული პასუხები წინა შეკითხვის ლოგუკური გაგრძელებაა, თუმცა მოსაზრება, რომ პროფესიული განათლების მნიშვნელობის შესახებ მეტი ინფორმირებულობა კერძო სექტორისთვის საბოლოო გამოსავალია ნაწილობრივ ბუნდოვანია. პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და მისი მნიშვნელობის შესახებ ცნობადობის ზრდა არამხოლოდ ბიზნესის, არამედ ზოგადად საზოგადოების პრობელმაა (მშობლები, ისტორიული მენტალობა, კერძო სექტორი და სხვ...),

რასაც სისტემური და გრძელვადიანი სტრატეგიით მოგვარება ესაჭიროება როლების შესაბამისი გადანაწილებით ყველა დაინტერესებული თუ მთავარი როლის შემსრულებები აქტიორებისთვის. აქედან გამომდინარე, პროფესიული განათლების მნიშვნელობის ზრდა უნდა ხდებოდეს არა პროფესიული განათლების დონეზე, არამედ ზოგადსაგანმანათებლო/სკოლის საფეხურზე შესაბამისი ღონისძიებებითა და გეგმით, რაც აუცილებლად მოიტანს სფეროს პოპულარიზაციას.

2.8 თანამშრომლობთ თუ არა კერძო სექტორთან პროფესიული სტუდენტების/ კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით?



პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების კუთხით გამოკითხულთა (70%) აცხადებს რომ ხშირად თანამშრომლობს კერძო სექტორთან, ხოლო გამოკითხულთა დარჩენილი (30%) იშვიათად ან ძალიან იშვიათად.

2.9. ახორციელებთ თუ არა დამსაქმებელთა კმაყოფილების შეფასებას თქვენს მიერ მიწოდებულ კადრებთან დაკავშირებით?



კითხვაზე - „ახორციელებთ თუ არა დამსაქმებელთა კმაყოფილების შეფასებას თქვენს მიერ მიწოდებულ კადრებთან დაკავშირებით“ გამოკითხულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა 90% ამბობს, რომ ახორციელებს, ხოლო 10% კი აფიქსირებს „არას“. რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა დადებითად პასუხობს, თუმცა შემდგომი, ჩაღრმავებული კვლევის თემები უნდა იყოს: შეფასების გამოყენებული ერთიანი მეთოდოლოგია (დამსაქმებლის/კოლეჯის), შიდა ინსტრუქტორის ჩართულობა შეფასების ნაწილში, დასაქმებულთა (მიწოდებული კადრის) კმაყოფილების კვლევა და სხვ...

2.10. დასაქმების ხელშეწყობისთვის თანამშრომლობის რა ფორმას იყენებთ? (გთხოვთ, დაასახელოთ)



როგორც კვლევამ უჩვენა დასაქმების ხელშეწყობსათვის კერძო სექტორთან კომუნიკაციასა და მათგან საჭირო კადრების შესახებ ინფორმაციის მიღებას გამოკითხულთა (10%) მიმართავს, კერძო შეხვედრების ორგანიზების გზით თანამშრომლობას (20%), წარჩინებულ სტუდენტებზე რეკომენდაციების გაცემის გზით (20%), ხოლო დასაქმების ფორუმებისა და შეხვედრების ორგანიზებას დამსაქმებლებთან, საწარმოო პრაქტიკასა და სასწავლო ექსკურსიებს დამსაქმებლების ობიექტებზე გამოკითხულთა (50%) იყენებს. მოცემული მონაცემებიდან შესაძლოა გაკეთდეს დასკვნა, რომ რესპონდენტთა ძალიან დაბალი პროცენტი მიმართვას კერძო სექტორთან კომუნიკაციას მათთვის საჭირო კადრების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, რაც თანამშრომლობის ძალიან დაბალ მაჩვენებელზე მიუთითებს. საკმაოდ მრავალფეროვანი ინსტრუმენტებია მოტანილი გამოკითხულთა მხრიდან, თუმცა კომუნიკაციისა და თანამშრომლობის სტრატეგიული მიდგომისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის ნაკლებობა აშკარაა. გარდა ამისა, ყოველივე ზემოხსენებული ცხადყოფს, რომ ადგილობრივ/რეგიონულ შრომის ბაზართან მიმართებაში შეიმჩნევა სისტემური და მეთოდოლოგიური ხარვეზიც, რაც აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და კერძო სექტორის პრობლემურ თანამშრომლობაზეც.

2.11. ეხმარებით თუ არა სტუდენტებს თვითდასაქმებაში/სამეწარმეო საქმიანობის დაწყებაში და რა გზებს /საშუალებებს მიმართავთ ამისთვის?



პროფესიული სასწავლებლები, კურსდამთავრებულებს სამეწარმეო საქმიანობის დაწყებასა და თვითდასაქმებაში, საგრანტო პროგრამებში კურსდამთავრებულთა ჩართვის (10%) გზით ახორციელებს, სამეწარმეო ტრენინგებისა და მასტერკლასების ორგანიზებას (10%) ახდენს. რაც შეეხება საჭირო კონტაქტების დამყარებას კურსდამტავრებულთა ხელშეწყობას - აღნიშნულს გამოკითხულთა (20%) მიმართავს. დამატებითი კონსულტაციების გაწევას სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის (10%), რეკომენდაციების გაწევის გზით ხელსეწყობას (10%), ხოლო არანაირ დახმარებას არ უწევს გამოკითხულთა (30%). მონაცემები ცხადყოფს, რომ სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობა არ არის პრიორიტეტული საკითხი პროფესიული საგნამანათლებლო დაწესებულებებისთვის, მიუხედავად სახელმწიფოს მიერ ბოლო პერიოდში განხორციელებული მთელი რიგი რეფორმებისა და პროექტებისა. გარდა ამისა, პატარა პროცენტი აქვს ასევე დამატებოთ კინსულტაციებს/სამეწარმეო ტრენინგებსა და მასტერკლასებს აღნიშნული მიმართულებით.

2.12. გქონიათ/გაქვთ თუ არა საერთაშორისო კომპანიებთან თანამშრომლობა?



როგორც გრაფიკზე ჩანს, გამოკითხულ პროფესიულ სასწავლებელთა (80%) არ აქვს საერთაშორისო კომპანიებთან თანამშრომლობა, ხოლო დანარჩენი (20%) თანამშრომლობს საერთაშორისო კომპანიებთან. ასევე ინტერვიუს დროს რამოდენიმე სასწავლებლის მიერ სამომავლოდ იგეგმება სტუდენტებისთვის გერმანიაში პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა.

2.13. ახორციელებთ თუ არა პროფესიული ორიენტაციის აქტივობებს? (დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ დააკონკრეტოთ)



პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით პროფესიულ სასწავლებელთა (70%) ახდენს აქტივობების განხორციელებას, კერძოდ, სკოლებში ხდება საჯარო ლექციების ჩატარება გარკვეული დარგების მიმართულებით და სკოლის მოსწავლეთათვის პროფესიული განათლების პოპულარიზაციის კუთხით. ხოლო გამოკითხულ სასწავლებელთა (30%) არ ახორციელებს პროფესიული ორიენტაციის აქტივობებს. საგულისხმოა, რომ რესპონდენთა მიერ სახელდება მხოლოდ საჯარო ლექციები პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით, თუმცა გამოკითხულები სხვა ქმედით ღონისძიებებს არ ასახელებენ, მაგ: როგორიცაა სკოლებთან სისტემური თანამშრომლობის სამოქმედო გეგმა, მოსწავლეთა ვიზიტები კოლეჯში არსებული პროგრამებისა და სეპციალობების გაზიარებისთვის, პარტნიორი ბიზნესებთან ერთობლივი შეხვედრები, საწარმოში ვიზიტები და სხვ..

ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ის 30%, რომელიც პროფესიული ორიენტაციის აქტივობებს არ ახორციელებს, საკმაოდ დიდი მაჩვენებლია და შესაბამის საჭიროა მათი ამ მიმართულებით გააქტიურება, რაც ასევე დაახლოვებს მათ თანამშრომლბას ბიზნესთან.

2.14 გთხოვთ დაასახელოთ თქვენს დაწესებულებაში არსებული რომელი საგანმანათლებლო პროგრამა სარგებლობს ყველაზე მეტი პოპულარობით განმცხადებელთა შორის?



გამოკითხულ პროფესიულ სასწავლებელთა შორის საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარულობის კუთხით სარგებლობს შემდეგი პროფესიები: ფარმაცია (2.5%) სკოლამდელი აღზრდა (2.5%), ბიბლიოთეკარი (2.5%), ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი (2.5%), ვეტერინარია (2.5%), მევენახეობა (2.5%), მეფუტკრეობა (2.5%), მეფუტკრეობა (2.5%), მებათქაშე (2.5%), შენობაში წყალსადენი სისტემების მონტაჟი (2.5%), თაბაშირ-მუყაოს ფილებით სამონტაჟო სამუშაოების შესრულება (2.5%), კულინარიის ხელოვნება (2.5%), სტილისტი (2.5%), სარესტორნო მომსახურება (2.5%), საფინანსო საქმე (5%), საბაჟო საქმე (5%), საოფინე საქმე (7,5%), სამთო ტექნიკოსი, სამთო ელექტრომექანიკოსი (5%), ელექტრორკალური შედუღება (10%), ბუღალტრული აღრიცხვა (7,5%), საექთნო საქმე (7,5%), შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები (5%), ინფორმაციის ტექნოლოგიები (15%).

ძალიან მნიშვნელოვანი და სამომავლო კვლევის საგანი სასურველი იყოს ზემოხსენებული პროფესიებისა და მათზე ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნის ანალიზი, კურსდამთავრებულთა რაოდენობისა და შრომის ბაზარზე შესაბამისი საჭირო კადრის თანაფარდობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და ა.შ.

კომპონენტი II - კვლევა თემაზე: "იმერეთის რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების განათლებისა და შრომის ბაზარზე ინტეგრირების ხელშეწყობის შესახებ"

დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან (1991 წლის 9 აპრილი) საქართველო ატარებს საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს. მანამდე საქართველო საბჭოთა კავშირის ეკონომიკის ერთ-

ერთი ნაწილი იყო. სწორედ ამიტომ, პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯების გადადგმა ეკონომიკური განვითარებისაკენ საკმაოდ რთული აღმოჩნდა. ქვეყანაში განხორციელებული მრავალი რეფორმისა თუ საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების მხრიდან მხარდაჭერის მიუხედავად საქართველომ ვერ მოახერხა ეკონომიკის მკვეთრი განვითარება და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება, რაც უკავშირდება შიდა და გარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორებს. ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა აისახა ყველა ასაკობრივ ჯგუფზე, მათ შორის ახალგაზრდებზეც.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ახალგაზრდობა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ადამიანური კაპიტალის განვითარებაში, რაც თავის მხრივ ქვეყნის სოციო-ეკონომიკურ და დემოკრატიულ განვითარებას უზრუნველყობს. საქართველოში ახალგაზრდების განათლებისა და დასაქმების კვლევა ცხადყობს, რომ არაა საკმარისად გამოყენებული მათი შესაძლებლობები სამუშაო ადგილებზე, ასევე ზოგიერთ შემთხვევაში ირღვევა კორელაცია მიღებულ განათლებასა და დასაქმებულთა პოზიციებს შორის. არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ საქართველოში ჯერ კიდევ აქტუალურია ახალგაზრდების განათლების და დასაქმების პრობლემა, მათ შორის სკოლის დამთავრების შემდეგ პროფესიის დამოუკიდებლად არჩევის შესაძლებლობა, ასევე განათლებასთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების თავისუფლება და ა.შ. გასათვალისწინებელია ასევე, რომ ქვეყანაში მიმდინარე დემოგრაფიული ცვლილებების ფონზე უფრო და უფრო მცირდება ახალგაზრდების საერთო წილი სრულ მოსახლეობაზე. აღნიშნული პრობლემური საკითხის კვალდაკვალ პრიორიტეტული ხდება მათი შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზება. აუცილებელია სახელმწიფომ ქვეყნის ფარგლებშივე შეუწყოს ხელი ახალგაზრდებს სათანადო განათლების მიღებაში და სწავლის დასრულების შემდეგ უზრუნველყოს სამუშაო ადგილების მიწოდებით, რაც თავისთვად დააბალანსებს ახალგაზრდობასა და ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს შორის შეთანხმებულ ურთიერთობას, ასევე რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შემცირდება ემიგრაციული ზრდა. კვლევისას გათვალისწინებულ უნდა იქნას ასევე განათლების მიღებასა და ფინანსურ შესაძლებლობებს შორის პირდაპირი კავშირი. ახალგაზრდების იმ ნაწილის გარდა, რომლებიც სახელმწიფო დაფინანსებით სარგებლობენ, რჩება საკმაო რაოდენობა სტუდენტებისა, რომელთა ოჯახებს სწავლის საფასურის გადახდა არ შეუძლიათ, რის შედეგადაც შესაძლოა სტუდენტმა სტატუსი შეიჩეროს ან სხვა, შედარებით დაბალი გადასახადის მქონე სასწავლო დაწესებულება აირჩიოს. სტუდენტებს სწავლის პერიოდში პარალელურად მუშაობის შესაძლებლობა (შესაბამისად საკუთარი სწავლის საფასურის დაფარვის შესაძლებლობა) ექნებათ მაშინ, როდესაც სასწავლო დაწესებულება შეუწყობს მათ ხელს მოქნილი სასწავლო ცხრილით და ასევე კონკრეტული რეგიონის თვითმართველობა შესაბამისად იქნება ინფორმირებული ახალგაზრდების რეალური საჭიროებებისა და უნარ-ჩვევების შესახებ. ახალგაზრდობა განიხილება როგორც მნიშვნელოვანი ცვლილებებისა და სიახლეების ინიციატორი ძალა, თუმცა მათთვის სათანადო განათლების მიცემისა და შემდგომ სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფისათვის აუცილებელია სახელმწიფოს გააჩნდეს კონკრეტული გეგმა თუ როგორ დააბალანსებს ორგანიზაციებისა და სასწავლო დაწესებულებების თანამაშრომლობას. ჩვენთვის კარგად ნაცნობი ბოლონიის დეკლარაციაზე (1999 წ.) ხელმოწერით შესაბამისმა ქვეყნებმა გამოთქვეს საერთო მზადყოფნა მონაწილეობა მიეღოთ უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის ჩამოყალიბებაში. ამჟამად ბოლონიის პროცესში ჩართულია 47 ქვეყანა, მათ შორის საქართველოც, რომელიც აღნიშნულ პროცესს 2005 წელს შეუერთდა და ამით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ქართველი სტუდენტების ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში

ინტეგრირების საკითხში. სტუდენტების მსგავს პროგრამებში ჩართულობა მოითხოვს მთავრობის, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ცნობადობის ამაღლებას ახალგაზრდების რეალური საჭიროებების, მათი განათლების და დასაქმების საკითხების ზედმიწევნით შესწავლას. 2020 წლის მონაცემებით ქვეყნის მასშტაბით მოსწავლეთა რიცხოვნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში შეადგენს 609.1 ათას პირს, ხოლო სტუდენტთა რაოდენობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 157.3 ათას ახალგაზრდას. (*საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური* www.geostat.ge) სტუდენტთა მოცემული რიცხვიდან გადანაწილება ხდება როგორც ქვეყნის შიდა საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობაზე, ასევე ბოლონიის პროგრამით გათვალისწინებულ მობილობის მეთოდით სწავლებაზე, რაც თავისთავად განათლების დონის სხვადასხვა ხარისხს იძლევა სასწავლებლის დამთავრების შემდგომ. ზემოხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, აღნიშნული კვლევა ემსახურება ქვეყანაში, კერძოდ კი იმერეთის რეგიონში ახალგაზრდების მიერ მიღებულ განათლებასა და დასაქმების მაჩვენებლებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შესწავლას. აღსანიშნავია, რომ კვლევის ამოცანაა ზოგადად ქვეყანაში ახალგაზრდების განათლების, სხვა საჭიროებების და დასაქმების შესახებ მეტი ინფორმაციის შეგროვება, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს მათ ინტეგრირებას საზოგადოებაში, ასევე მიღებული განათლების შესაბამის რეალიზებას სამუშაო ადგილებზე, რაც ისევდა ისევ ქვეყნის სოციო-ეკონომიკურ მდგრადობას განაპირობებს. აღნიშნული კვლევის ფარგლებში იმერეთის რეგიონში გამოკითხულ იქნა 16 დან 29 წლამდე ასაკის 200(ორასი) ახალგაზრდა. მათი ასაკობრივი შერჩევა მოხდა განათლების მიღების და შრომისუნარიანობის ასაკის გათვალისწინებით.

კვლევის მიზნები და ამოცანები

კვლევის მიზანს წარმოადგენს იმერეთის რეგიონში მაცხოვრებელი ახალგაზრდების მიერ მიღებული განათლებისა და სამუშაო ადგილზე ცოდნის რეალიზების საკითხის კვლევა. ანგარიშში გაიწერება შემდეგი ამოცანების კვლევის შედეგები:

- 16 დან 29 წლამდე ახალგაზრდებს რა სახის განათლება აქვთ მიღებული
- კმაყოფილები არიან თუ არა მიღებული განათლებით
- აკმაყოფილებთ თუ არა თავიანთი სამსახურები
- მარტივად დასაქმდნენ თუ არა სწავლის დასრულების შემდეგ
- რთულია თუ არა აღნიშნულ რეგიონში ახალგაზრდების დასაქმება
- ფლობენ თუ არა მუნიციპალიტეტების მიერ გამოქვეყნებული ვაკანსიების შესახებ ინფორმაციას
- რა წყაროების მეშვეობით იგებენ ახალგაზრდები ვაკანსიების შესახებ

კვლევის მეთოდოლოგია

ზემოხსენებული კვლევა ჩატარდა იმერეთის რეგიონში მცხოვრებ შემთხვევითი მეთოდით შერჩეულ ორას ახალგაზრდაზე. კვლევაში გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, რომლის მიზანი გამოკითხულ რესპოდენტთა შორის პროცენტული გადანაწილების ჩვენებაა იმ კრიტერიუმების მიხედვით, თუ მათგან რა რაოდენობას აქვს განათლება და რა ნაწილია დასაქმებული.

1.1. გამოკითხულთა ასაკი



როგორც უკვე აღინიშნა, გამოკითხულ რესპონდენტთა ასაკი განისაზღვრა 16 დან 29 წლამდე, თუმცა ასაკობრივი მონაცემები დაიყო 3 ქვეჯგუფად:

- პირველი, ესაა 16 დან 18 წლამდე ასაკის პირები, რომლებიც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციის თანახმად ითვლებიან შრომისუნარიანებად
- მეორე ასაკობრივი დაყოფაა 18 დან 25 წლამდე, ანუ პირის სრულწლოვანებიდან, როდესაც განათლების მიღება და ასევე დასაქმება მეურვის ან მშობლის თანხმობის გარეშეც შეუძლია
- მესამე ქვეჯგუფი მოიცავს 25 დან 29 წლამდე ასაკის ადამიანებს, რომლებიც ამ ასაკობრივი ნიშნულით ასრულებენ პირის, როგორც კანონით დადგენილი განმარტების „ახალგაზრდა“-ს მნიშვნელობას

ზემოხსენებული ასაკობრივი დაწყვილებებიდან გამოკითხული 200 ახალგაზრდიდან 16 დან 18 წლამდე ასაკის აღმოჩნდა მხოლოდ 1%-ი. 18 დან 25 წლამდე ასაკის შეადგენს 46 %-ს, ხოლო 25 დან 29 წლამდე ასაკობრივი ჯგუფი კი უმრავლესობას-53%-ს. მიღებული პროცენტული გადანაწილება კი მნიშვნელოვნად იმოქმედებს კვლევის შედეგებზე, კერძოდ გამოკითხულთა ასაკობრივი ზედა ზღვარი (25-29 წ.წ) განაპირობებს მიღებული განათლებისა და დასაქმების კორელაციას. გამოკითხულთაგან მიღებული უმრავლესობის 53%-ის არსებობა თავაისთავად გამორიცხავს სასკოლო ასაკის მქონე პირების აქტიურ ჩართულობას კვლევაში.

1.2. გაქვთ თუ არა მიღებული განათლება?



მთლიანად გამოკითხული ახალგაზრდებიდან უნივერსიტეტი დაამთავრა 36%-მა, უნივერსიტეტის სტუდენტები და საშუალო განათლების მქონე პირები ინაწილებენ თანაბარ მაჩვენებელს -26-26%-ს, აქედან პროფესიული სასწავლებელი დაამთავრა 9%-მა, ხოლო პროფესიული სასწავლებლის მოქმედი სტუდენტია მხოლოდ 3%-ი. დიაგრამაზე ვხედავთ, რომ გამოკითხულთაგან უმრავლესობა 36% -ს საშუალო განათლება აქვს, საინტერესოა ეს მაჩვენებელი როგორ იქნება თანხვედრაში პირველ დიაგრამაზე მოცემულ მონაცემებთან, სადაც 200 გამოკითხულიდან 53%-ს 25 დან 29 წლადე ასაკობრივი ჯგუფი იკავებს. შესაძლოა დავუშვათ მოსაზრება, რომ 25 დან 29 წლამდე ასაკის პირებიდან უმრავლესობას მხოლოდ საშუალო განათლება აქვს მიღებული.

1.3. კმაყოფილი ხართ თუ არა მიღებული განათლებით?



საგანგაშოა განათლებით კმაყოფილების პროცენტული მაჩვენებელი გამოკითხულთა შორის. ნაკვლევი 200 ახალგაზრდიდან 79%-ი აღნიშნავს რომ უკმაყოფილოა მიღებული განათლებით. ამ შედეგის მიზეზი შესაძლოა ვეძებოთ როგორც ახალგაზრდის მიერ პროფესიის, ანდაც სასწავლებლის დამოუკიდებლად არჩევის შეზღუდვაში, ასევე კონკრეტული საგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურის და სწავლების ხარისხის დაბალ დონეში. მიღებული განათლებით კმაყოფილია 11%-ი, რომელთაგანაც რთულია დავადგინოთ რა სახის სასწავლებელი დაამთავრა და რა პროფესიით. არც ისე კმაყოფილია გამოკითხულთა 6%-ი და ძალიან კმაყოფილია მხოლოდ 4%-ი. საინტერესო პროცენტული გადანაწილებაა, თუმცა უდიდესი მაჩვენებელი 79%-ი უკმაყოფილო რესპოდენტებისა იმატებს არც ისე კმაყოფილი 6%-სა და საერთო ჯამში ზრდის მიღებული განათლებით უკმაყოფილო ახალგაზრდების რაოდენობას.

1.4. ხართ თუ არა დასაქმებული?



გამოკითხული ახალგაზრდებიდან დასაქმებულია უმრავლესობა 64.50%, 200 ახალგაზრდიდან სამსახურს ეძებს და არაა დასაქმებული თანაბარი პროცენტული მაჩვენებლით 15.90-15.90%-ი, ხოლო არ ეძებს სამსახურს 3.60%. ამ მონაცემების მიხედვით რთულია დავადგინოთ თუ რა მიზეზით არ ეძებენ სამსახურს, რა ასაკობრივ ჯგუფს მოიცავს ეს მაჩვენებელი, არიან თუ არა ისინი მაგალითად 16 დან 18 წლამდე ასაკის რესპოდენტები, რომელთაც უმრავლეს შემთხვევაში ოჯახი უზრუნველყობს ფინანსურად.

უმუშევრობის დონე ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით 2019 წელს - იხილეთ ქვემოთ დიაგრამა:



1.5.კმაყოფილი ხართ თქვენი სამსახურით?



ნაკვლევ რესპოდენტებში სამსახურით კმაყოფილია უმრავლესობა 61%-ი. უკმაყოფილოა 28%-ი და არ იცის ზუსტად 11%-მა. განათლებით კმაყოფილების მონაცემებს რომ შევადაროთ აღნიშნული პროცენტულობა ვლინდება სრული ანტაგონიზმი. 200 გამოკითხულიდან 79%-ი აღნიშნავს განათლებით უკმაყოფილებას, ხოლო სამსახურით კმაყოფილებას კი აქაც უმრავლესობა 61% -ი გამოხატავს. საინტერესოა, როგორ შეიძლება მოვიდეს ეს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მონაცემი ერთმანეთთან თანხვედრაში. მიუთითებს თუ არა ეს

შემთხვევა, მიღებული განათლების ხარისხის მიხედვით სამსახურში მიღებას, თუ სხვა გარემოებები მოქმედებს იმ ახალგაზრდების დასაქმებაზე, რომლებიც უკმაყოფილონი არიან მიღებული განათლებით და მაინც მუშაობენ სხვადასხვა პოზიციაზე, ანდაც პირიქით. აღსანიშნავია, რომ იმერეთის რეგიონში და სავარაუდოდ მთელს ქვეყანაში არ არსებობს ინსტრუმენტები, რომელთაც კომპანიები გამოიყენებენ დასაქმებულთა კმაყოფილების დონის დასადგენად. ზემოთ მოყვანილი მონაცემები შესაძლოა თანაფარდობათა ცდომილებებით იყოს ასახული, რადგან არც ისე მცირე რაოდენობამ ახალგარდებისამ 11 %-მა არ იცის საერთოდ კმაყოფილია თუ არა სამსახურით. ამას გარდა, თავად ახალგაზრდები არ ფლობენ ინფორმაციას შესაბამისი კვლევების შესახებ, რაც გულისხმობს შემდეგს, რომ არ იცინიან რა კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს დასაქმებულთა კმაყოფილება.

1.6. თქვენი აზრით, მარტივია თუ არა ახალგაზრდის დასაქმება თქვენს რეგიონში?



გამოკითხულთაგან 14 %-ი მიიჩნევს, რომ ძალიან რთულია დასაქმება იმერეთის რეგიონში, არც ისე მარტივია პასუხობს უმრავლესობა 49%-ი, რთულად მიიჩნევს 29%-ი, მარტივად თვლის დასაქმებას 6%-ი და ბოლოს, არ იცის რთულია თუ არა 2%-მა. აღნიშნული მონაცემების სიცხადისათვის, აუცილებელია გაიმიჯნოს რეგიონში დასაქმების სირთულის მიზეზები, კერძოდ, რას გულისხმობენ ახალგაზრდები სირთულეში, კონკრეტული დამსაქმებლის/ორგანიზაციის დადგენილ მოთხოვებს, თუ რეგიონში არსებული ვაკანსიების შესახებ ხელმისაწვდომობას.

1.7. თქვენი აზრით, რა არის ძირითადი დაბრკოლება ახალგაზდისთვის, რომ დასაქმდნენ?



გამოკითხულთაგან უმრავლესობა 58%-ი აღნიშნავს, რომ ახალგაზრდისთვის დასაქმების დაბრკოლება სამუშაო გამოცდილების უქონლობაა, 54.30 -54.30%-ი თანაბრად მიიჩნევს რომ განათლება, შედარებით დაბალი მაჩვენებელი და პირადი და ნათესაური კავშირებია პრობლემა, 34%-ი მოდის მოთხოვნილი პროფესიული უნარ-ჩვევების უქონლობაზე, 17%-ი ასახელებს წვდომის შეუძლებლობას შესაბამის ინფორმაციაზე, ხოლო 9.20%-ი საუბრობს ხვა პრობლემებზე. მეტი თვალსაჩინოებისათვის, ერთ-ერთი რესპოდენტის მაგალითი აქვეა მოყვანილი. იგი განმარტავს, რომ „შრომის ბაზარზე აღინიშნება სამუშაო ადგილების დეფიციტი, ასევე რაიონებში არასაკმარისი რაოდენობით არსებულ საწარმოებში არ ხდება კონკრეტული მიმართულებით დასაქმება და სტაჟიორთა უნარ-ჩვევების განმტკიცება. ამას გარდა, საჯარო სამსახურები არ აძლევს ახალგაზრდობას საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენისა და შრომის ბაზარზე თავის დამკვიდრების საშუალებას“. გამოკითხვის მეთოდოლოგიაში ღია კითხვარის დამატებამ, შესაძლებლობა მისცა სამიზნე ჯგუფს დასაქმების ის პრობლემები დაესახელებინა, რომლებიც კითხვარში არ იყო გათვალისწინებული, რაც აღნიშნული კვლევის ანალიზში იქნება განზოგადებული.

1.8. **რომელი წყაროდან ღებულობთ ინფორმაციას თქვენს მუნიციპალიტეტში/რეგიონში არსებული ვაკანსიების შესახებ?**



ნაკვლევ რესპოდენტებში უმრავლესობა 85.5% აღნიშნავს, რომ რეგიონში (იმერეთი) არსებული ვაკანსიების შესახებ იგებს ინტერნეტის საშუალებით, ნახევარზე მეტი 57.2%-ი აღნიშნავს, რომ ინფორმაციას იღებს მეგობრებისგან, ან ნათესავებისგან, 16.7%-ი წილი მოდის ახალგაზრდებზე, რომელთაც ვაკანსიების შესახებ წვდომა განცხადებების საშუალებით აქვთ, 2.9%-ი მიიჩნევს, რომ მსგავსი სახის წყარო არ არსებობს, ხოლო მუნიციპალიტეტში/რეგიონში არსებული ვაკანსიების შესახებ საერთოდ არ აქვს ინფორმაცია 2.2%-ს. რომ გადავხედოთ მიღებული შედეგების სრულ უმრავლესობას 85.5%-ს, რომლებიც სამუშაო ადგილების არსებობაზე მხოლოდ ინტერნეტის მეშვეობით იგებენ მეტყველებს იმაზე, რომ იმერეთის თორმეტივე ნაკვლევ მუნიციპალიტეტში იკვეთება დასაქმების პლატფორმების სიმცირე. ახალგაზრდებს ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის წვდომა აქვთ მხოლოდ იმ წყაროებიდან, რაც მათთვის მარტივად ხელმისაწვდომია (ამ შემთხვევაში ინტერნეტი), აღნიშნული გარემოება კი ცხადყობს ახალგაზრდებისა და მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებს შორის არსებული ურთიერთობების შეუსაბამობებს. თუმცა, ამავდროულად ხაზს უსვამს იმერეთის რეგიონში ინტერნეტიზაციის მაღალ და ხარისხიან მაჩვენებელს, რაც წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესებულია.

1.9. როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება დაგეხმაროთ დასაქმებაში?



გამოკითხულთაგან უმრავლესობა 56.5%-ი ფიქრობს, რომ დასაქმებაში პირადი კავშირები დაეხმარებათ, 54.3%-ი ხაზს უსვამს პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას, 50.7%-ი მიიჩნევს, რომ დასაქმებისათვის აუცილებელი სტაჟირების შესაძლებლობაა, მოკლევადიანი გადამზადების პროგრამებს რეკომენდაციას უწევს გამოკითხულთა 34.8%-ი, ხოლო დასაქმების სააგენტოებს საჭიროებისამებრ მიმართავს 28.3%-ი. როგორც ჩანს მცირე ნაწილს აქვს ინფორმაცია რეგიონალური განვითარების პროექტების შესახებ და მხოლოდ 26.8%-ი აღნიშნავს მათ აუცილებლობას, ხოლო 2.2%-მა არ იცის რა დაეხმარებათ მათ დასაქმებაში. ასაკთან შეუსაბამო მონაცემთა გადანაწილება მოხდა ამ კონკრეტულ კითხვაზე, კერძოდ პირადი კავშირების დახმარებას ერგო უმრავლესობა 56.5%-ი, საინტერესოა რატომ მიიჩნევენ 16 დან 29 წლამდე ახალგაზრდები უფრო პრიორიტეტულად დასაქმების საკითხში პირად კავშირებს, ვიდრე ცოდნას, გამოცდილებას ან შესაბამის პროგრამებში ჩართულობას. სავარაუდოა, რომ ეს შედეგები სწორედ ჯერ კიდევ მკვეთრად შემორჩენილი ეროვნული მენტალიტეტისა და ახალგაზრდებში ინფორმაციის ნაკლებობისა და ქვდომის შედეგია, რასაც თავის მხრივ ემატება შესაბამისი ეროვნული პოლიტიკის ხარვეზებიც.

1.10. მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა ტრენინგ კურსზე, სემინარებზე ან ვორქშოპებზე ბოლო 12 თვის განმავლობაში?



ახალგაზრდები აღნიშნავენ, რომ ბოლო 12 თვის მანძილზე 40%-მა გაიარა ტრენინგ-კურსი, ვორქშოპი ან დაესწრო სემინარებს, ხოლო 60%-ი უარყოფს მსგავს აქტივობებში მონაწილეობას. აღნიშნული პროცენტული გადანაწილება შესაძლოა განპირობებული იყოს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მხრიდან სასწავლო სემინარების და სხვა კურსების შესახებ ინფორმაციის გავრცელების დაბალი აქტიურობით.

11. მიიღებდით მონაწილეობას სამომავლოდ გადამზადებისა და სხვა ტრენინგებში, რაც დაგეხმარებოდათ შრომის ბაზარზე მეტი კონკურენტუნარიანობის მიღწევაში?



ზემოთ მოყვანილი კითხვა ახდენს რესპოდენტთა პროცენტულ გადანაწილებას იმის შესახებ, მიიღებდნენ თუ არა მონაწილეობას სამომავლოდ სხვა ტრენინგ კურსებზე, რაც კიდევ უფრო დაეხმარება მათ, რომ კონკურენტუნარიანები გახდნენ შრომის ბაზარზე. შეგროვდა საინტერესო რაოდენობრივი მონაცემები, 73%-მა გამოთქვა ჩართვის სურვილი, როდესაც 60 %-

ს არ ჰქონდა აქამდე მსგავს აქტივობებში მონაწილეობა მიღებული, ანუ განვითარების ინტერესი ჭარბობს. ასევე დაბალმა მაჩვენებელმა 4%-მა არ გამოთქვა სურვილი მსგავს ტრენინგებში მონაწილეობაზე, რაც მაინც ჩამორჩება დაინტერესებულთა რაოდენობას, ხოლო 23%-მა არ იცის დათანხმდება თუ არა. ეს უკანასკნელი შესაძლოა მოიცავდეს როგორც მათ რიცხვს, რომელთაც არასოდეს გაუვლიათ მსგავსი ტრენინგკურსები, ასევე მათ, ვინც გაიარა და შესაბამისი შედეგი ვერ მიიღო კურსის დამთავრების შემდგომ დასაქმების პერსპექტივის თვალსაზრისით. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდებს შორის სწავლის მოტივაცია საკმაოდ მაღალი პროცენტით ფიქსირდება, რაც შესაბამის პასუხს მოითხოვს, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის მხრიდან, საგანამანთლებლო პოლიტიკის დახვეწასა და მოცემული სამიზნე ჯგუფს შორის მოტივაციისა და წახალისების აქტივობათა უზრუნველყოფას.

12. იცნობთ თუ არა თქვენს რეგიონში არსებული ახალგაზრდების განათლებისა და დასაქმების ხელშეწყობის პროექტებსა და პროგრამებს?



შემდგომი საკვლევი კითხვა, რომელიც გულსხმობს იმერეთის რეგიონში მიმდინარე ახალგაზრდების განათლებისა და დასაქმების ხელშემწყობი პროგრამების არსებობის შესახებ ინფორმაციის ფლობას, პროცენტულად საინტერესოდ გადანაწილდა. აბსოლუტურ უმრავლესობას 70%-ს არ აქვს მსგავსი სახის ინფორმაცია, ხოლო 30%-ი ადასტურებს, რომ სმენია მსგავსი პროგრამების შესახებ. ეს უკანასკნელი, რომ წინა კითხვის რაოდენობრივ გადანაწილებას შევადაროთ (სამომავლოდ მიიღებენ თუ არა ტრენინგ კურსებში მონაწილეობას დიახ-73% არა 4%) ნათლად ასახავს იმ პრობლემას, რომელიც ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში დასაქმების შესახებ ინფორმაციის მიწოდების შესაბამისი სამსახურების არარსებობას გულისხმობს. რეალურად, სემინარებისა თუ სხვადასხვა სასწავლო აქტივობებში ჩართვის მსურველი მეტია, ვიდრე მათი ვინც უარს ამბობს, თუმცა არ არსებობს შესაბამისი მექანიზმი რითიც მიეწოდება ახალგაზრდობას ინფორმაცია მსგავსი ღონისძიებების გამართვის შესახებ.

1.13. ღებულობთ თუ არა მონაწილეობას რეგიონში არსებული პროექტების/პროგრამების ფარგლებში არსებულ აქტივობებში, რომელიც მიმართულია ახალგაზრდების განათლებისა, განვითარებისა და დასაქმებაზე ხელშეწყობისკენ?



გამოკითხულ რესპოდენტთა 55%-მა მიუთითა, რომ არ იღებს მონაწილეობას რეგიონში არსებულ პროგრამებში, რომელიც გათვალისწინებულია მათი განათლების, განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობაზე. არც ისე დაბალმა რაოდენობამ 45%-მა აღნიშნა, რომ არ იღებს მონაწილეობას მსგავს აქტივობებში. ეს კონკრეტული მონაცემები პირდაპირ პროპორციულია იმ მონაცემებისა, რომელმაც რეგიონში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის ფლობის მაჩვენებელი დაადგინა. ლოგიკურია, გამოკითხულთა უმრავლეობას არ აქვს ინფორმაცია აქტივობების შესახებ, (იქნებიან ისინი სკოლის მოსწავლეები, პროფესიული სასწავლებლის სტუდენტები, უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულები თუ სხვა) შესაბამისად არაა ჩართულობა მსგავს პროგრამებში.

1.14. რამდენად შეცვალა COVID 19-მა თქვენი ცხოვრება?



ნაკვლევი სამიზნე ჯგუფებიდან უმრავლესობა 41%-ი პასუხობს რომ COVID 19 -ის პანდემიამ საკმაოდ შეცვალა მათი ცხოვრება, 27%-ისათვის ძალიან შეიცვალა, 25%-ი ახალგაზრდობისათვის ცხოვრება მცირედით შეიცვალა, ხოლო საერთოდ არ შეცვლილა 7%-ისათვის. თუ დიაგრამას დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ 41%-ი, 27%-ი და 25%-ი საერთო ჯამში უარყოფით ცვლილებებზე პასუხობს. აქედან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პანდემიის ნეგატიურმა ზეგავლენამ ყველა ასაკობრივი დაყოფა მოიცვა, განურჩევლად სქესისა, განათლების ხარისხისა და სამსახურებში მათი პოზიციური განაწილებისა. მსოფლიოს მასშტაბით უამრავი ადამიანი დარჩა უმუშევარი, რაც ერთი ორად კიდევ უფრო ამძიმებს არსებულ პანდემიურ მდგომარეობას ადამიანების ყოველდღიურობაში. ვინაიდან COVID 19 -ის პანდემია დღემდე აქტუალური პრობლემაა და ჯერ დასასრული არ უჩანს, შესაბამისად იქმნება მეტი გაურკვევლობა სხვადასხვა სფეროსა თუ საქმიანობის ირგვლივ. ახალგაზრდები სწორედ ის ნაწილი აღმოჩნდა, რომლებიც პანდემიამ უდიდესი სირთულეებისა და გამოწვევების წინაშე დააყენა. დაწესდა აკრძალვები, სწავლება გადავიდა on-line რეჟიმში, შეიცვალა საგამოცდო ფორმატები, უმრავლესობა დასაქმებულმა ახალგაზრდამ დაკარგა სამსახური. პანდემიური მდგომარეობისდა გამო გამოკითხული 200 ახალგაზრდიდან უმრავლეს რაოდენობაზე COVID 19-მა მრავალმხრივ ნეგატიური ზეგავლენა მოახდინა მათ ცხოვრებაზე.

1.15. ფიქრობთ თუ არა სახცოვრებელი ადგილის/რეგიონის დატოვებას უახლოეს მომავალში?



კვლევაში გათვალისწინებულია მეტად მნიშვნელოვანი კითხვა, რომელიც საცხოვრებელი ადგილის/რეგიონის დატოვების გეგმას შეეხება. მონაცემები ასე გადანაწილდა: დაახლოებით იდენტური რაოდენობა 34.80-34.10%-ი ფიქრობს დატოვებს რეგიონს დასაქმების მიზნით და უკეთესი ცხოვრების მიზნით, რაც იმას ნიშნავს, რომ რაც უკეთეს ადგილას იქნებიან დასაქმებულები, შესაბამისად გაიუმჯობესებენ ცხოვრების დონესაც. საყურადღებოა შემდეგი მაჩვენებელი 26.80%, რომელიც რეგიონს დატოვებს უკეთესი განათლების მიღების მიზნით. მოცემული რაოდენობა საკმაოდ მაღალია, რაც იმაზე მეტყველებს რომ მათ აქვთ უკვე გარკვეული სახის განათლება მიღებული, თუმცა კმაყოფილების დონე ეჭვქვეშ დგება.

გამოკითხული რესპოდენტებიდან აღნიშნული 26.80%-ი მაინც ეძებს უკეთესი ხარისხის განათლების მიღების გზებს. არავითარ შემთხვევაში არ დატოვებს ადგილს/რეგიონს 15.20%, რომლებიც როგორც ჩანს რეგიონში შექმნილი ყველა პირობით კმაყოფილია, ან არ აქვს კვლევის მიმდინარეობისას კონფიდენციალურობის იმედი. ასევე საკმაოდ დიდმა მაჩვენებელმა 24.60%-მა არ იცის დატოვებს თუ არა რეგიონს, თუმცა ეს რაოდენობა არ ემატება 15.20%-ს რადგან ჯერ კიდევ არ მიუღიათ საბოლოო გადაწყვეტილება. მიღებული შედეგები ცხადყობს, რომ ახალგაზრდების საერთო რიცხოვნობა დატოვონ რეგიონი უკეთესი განათლების და ცხოვრების გაუჯობესების მიზნით ბევრად ჭარბობს ადგილზე დარჩენის მსურველთა რაოდენობას.

ძირითადი მიგნებები

იმერეთის რეგიონში გამოკითხული 200 ახალგაზრდა რესპოდენტიდან, რომელიც 16 დან 29 წლამდე ასაკობრივ ინტერვალს მოიცავს, 79%-ი აღნიშნავს რომ მიღებული განათლებით უკმაყოფილოა. მოცემულობა მეტყველებს ზოგადად ქვეყანაში და კერძოდ რეგიონში (იმერეთი) ახალგაზრდების მიერ მიღებული განათლების ხარისხის დაბალ მაჩვენებელზე, ასევე ეჭვქვეშ აყენებს რამდენად გააზრებულად მოხდა სკოლის დამთავრების შემდეგ პროფესისს არჩევა, როგორია მათი ცოდნისა და დასაქმების თანაფარდობა და ა.შ.

განათლებით უკმაყოფილების კორელაცია ჩნდება სამსახურით კმაყოფილება/უკმაყოფილების საკითხთანაც. საკმაოდ დიდი მაჩვენებელი 12 მუნიციპალიტეტისთვის 28%-ი აღნიშნავს რომ უკმაყოფილოა თავისი სამსახურით, ასევე 11%-მა არ იცის კმაყოფილია თუ არა, ანუ ეს პასუხი დადებითობას არ ადასტურებს. იმის გათვალისწინებით, რომ უმრავლესობა ახალგაზრდებისა საკუთარ განათლებას არასაკმარისად მიიჩნევს (უკმაყოფილოა) შესაბამისად არც მიღებული განათლებით დაწყებული სამსახური მოსწონს.

ზოგადად ახალგაზრდების ჯგუფების ძირითად ნაწილს სმენიათ რეგიონში მიმდინარე არაფორმალური განათლების (ტრენინგები, სემინარები, ვორქშოპები) შესახებ და მონაცემების მიხედვით 40%-ს მიუღია მსგავს პროგრამებში მონაწილეობა, თუმცა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მაინც მტავარ გამოწვევად რჩება.

შენიშვნა: კვლევაში მოყვანილი ერთ-ერთი რესპოდენტის კომენტარი, რომელიც მუნიციპალიტეტების მიერ ვაკანსიების მიწოდებას პრობლემად მიიჩნევს, ასევე საჯარო სამსახურებს ამხელს, რომ ისინი არ აძლევენ ახალგაზრდებს საშუალებას კონკურენტუნარიანები გახდნენ შრომის ბაზარზე, მეტყველებს იმაზე, რომ მუნიციპალიტეტებს არ გააჩნიათ ვაკანსიების მიწოდების პლატფორმა.

კვლევის დროს იმერეთის მუნიციპალიტეტის თანამშრომლების მხრიდან აღინიშნა, რომ ადგილობრივ ახალგაზრდებს უტარდებათ სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო პროგრამები რაც მათ შემდგომში დასაქმებაშიც ეხმარება. თუმცაღა, ახალგაზრდების კვლევის შედეგები გვიჩვენებს სხვა მიზეზ-შედეგობრიობას. კერძოდ, აბსოლუტური უმრავლესობა 85.5%-ი აღნიშნავს, რომ რეგიონში მინდინარე ტრენინგკურსების/სემინარების შესახებ ინფორმაციას ღებულობს ინტერნეტწყაროებიდან. მიღებული მონაცემები ცხადყობს, რომ რეგიონის მუნიციპალიტეტებს არ გააჩნიათ შესაბამის სამსახურები, რომლებიც უზრუნველყოფენ

ახალგაზრდებისათვის ტრენინგების, ვორქშოპების და ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, ასევე რეგიონს არ გააჩნია სპეციალური შენობები/ადგილები სადაც მოხდება დაინტერესებული ახალგაზრდების შეკრება და მათთვის სიახლეებიის გაცნობა.

კვლევისას გამოიკვეთა ისეთი პრობლემური საკითხები როგორიცაა:

- განათლებით უკმაყოფილება 79%-ი
- სამსახურით უკმაყოფილება 28%-ი
- ახალგაზრდის დასაქმების სირთულე რეგიონში 49%-ი
- რეგიონში არსებული ვაკანსიების შესახებ მხოლოდ ინტერნეტიდან გაგება 85.5%-ი
- რეგიონში არსებული ახალგაზრდების განათლებისა და დასაქმების ხელშემწყობი პროექტების შესახებ არ იცის 70%-მა
- COVID 19-ის უარყოფითი ზეგავლენა ახალგაზრდების ცხოვრებაზე 27%-ი ძალიან შეცვალა, 41%-ი საკმაოდ შეცვალა, 25%-ი მცირედით შეცვალა
- საცხოვრებელი ადგილის/რეგიონის სხვადასხვა მიზეზით დატოვების მსურველთა უდიდესი ნაწილი (უარყოფს მხოლოდ 15.20%-ი)

რეკომენდაციები

იმერეთის რეგიონის ახალგაზრდებისათვის დასაქმება კვლავ მთავარ გამოწვევად რჩება. სავარაუდოა, რომ რეგიონის მასშტაბით დასაქმება მხოლოდ მომსახურების სფეროშია შესაძლებელი. ნაკვლევი ახალგაზრდებიდან ზოგიერთი აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტებში არსებულ სამსახურებში იშვიათად მოიძებნება ნახევარგანაკვეთური სამსახური, სადაც სკოლის მოსწავლე ან სტუდენტი შეძლებს სწავლასთან ერთად დასაქმდეს კიდეც. ასევე მიუთითებენ ახალგაზრდებსა და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს შორის ინფორმაციული მომარაგების პრობლემაა. რეგიონებში შესაბამისი სასწავლო დაწესებულებების არსებობა, რაც განაპირობებს საშუალო, პროფესიული თუ უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულთა კმაყოფილებას, ასევე ხელს შეუწყობს მათ ინტეგრირებას ადგილობრივ შრომის ბაზარზე და ამით თავიდან იქნება აცილებული ახალგაზრდების სოფლებიდან და რეგიონებიდან დიდ ქალაქებში გადინება. კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულ რესპოდენტთა აბსოლუტურ უმრავლესობას არ აკმაყოფილებს მიღებული განათლება, არ აკმაყოფილებს ასევე თავიანთი სამსახურები და გეგმავენ რეგიონის დატოვებას უკეთესი ცხოვრების ძიების მიზნით. ეს საკითხი ძალზედ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ რეგიონალურ, არამედ ეროვნულ დონეზე, რადგან ქვეყნის შიდა მიგრაციამ შესაძლოა ქვეყნიდან ემიგრაციის სახე მიიღოს. ამისათვის, აუცილებელია მუნიციპალიტეტების და ზოგადად ეროვნული მასშტაბით შეიქმნას ახალგაზრდების განათლებისა და დასაქმების ხელშემწყობი პროგრამების შექმნისა და მიწოდების სწორი სტრუქტურა, რაც როგორც წინასიტყვაობაშიც აღვნიშნეთ ქვეყნის სოციო-ეკონომიკურ მდგრადობის წინაპირობაა.

კომპონენტი III - წინამდებარე კვლევის მიზანია იმერეთის რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების საგანმანათლებლო პროექტებზე წვდომისა და მათი შრომის ბაზარზე ინტეგრაციის შესაძლებლობების გამოვლენა სახელმწიფო სამსახურების ხედვით.

წინამდებარე კომპონენტის ანალიზი შესაძლოა ჩაითვალოს როგორც ერთგვარი საწყისი წერტილი უფრო ღრმა ანალიზისა და შემდგომი დისკუსიისთვის შესაბამის დონეზე. წინამდებარე კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს იმერეთის რეგიონის საჯარო სამსახურები.

კვლევის მიზნები და ამოცანები

წინამდებარე კვლევის მიზანია იმერეთის რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების საგანმანათლებლო პროექტებზე წვდომისა და მათი შრომის ბაზარზე ინტეგრაციის შესაძლებლობების გამოვლენა სახელმწიფო სამსახურების ხედვით. კველვა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- იმერეთის რეგიონში ახალგაზრდების დასაქმების სტატისკიტა, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში და რამდენად პასუხობს ახალგაზრდების მიერ მიღებული განათლება შრომის ბაზრის მოთხოვნების იმერეთის რეგიონში;
- გავრცელებული პრობლემები, რომელიც უკავშირდება ახალგარზდების პროფესიული განათლებისა და შრომის ბაზარზე მათ ინტეგრაციას რეგიონში;
- რეგიონს განათლების წახალისების ზოგადი პოლიტიკა/სტრატეგია და რა აქტივობები მიმდინარეობს პროფესიული განათლების პოპულარიზაციის თვალსაზრისით რეგიონში; რომელ საფეხურზეა ყველაზე მნიშნელოვანი პროფესიული განათლების წახალისება და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა, მათ შორის საჯარო უწყებების?
- პროექტები, რომელიც ხორციელდება რეგიონში ახალგაზრდათა შორის მეწარმეობის წახალიხების მიზნით და რამდენადაა გაზრდილი ახალგაზრდათა შორის მეწარმეობის სტატისტიკა ბოლო 2 წლის განმავლობაში?
- წყაროდან, როემლითაც გროვდება და კეთდება ანალიზი მუნიციპალიტეტში/რეგიონში არსებული ვაკანსიების შესახებ და რა ეხმარება რეგიონის ახალგარზდებს შრომის ბაზარზე ინტეგრაციას;
- რამდენადაა ჩართული სახელმწიფო უწყებები და რამდენად ჩაერთვებიან აარსებულ თუ ამომავლო პროექტების/პროგრამებში, რომელიც მიმართულია ახალგაზრდების განათლებისა, განვითარებისა და დასაქმებაზე ხელშეწყობისკენ;
- რამდენად შეცვალა COVID 19-მა იმერეთის რეგიონის დინამიკა;
- მიგნებები და რეკომენდაციები სამომავლო აქტივობებისთვის;

რეგიონის ზოგადი მიმოხილვა

იმერეთის რეგიონი საქართველოს ცენტრალური ნაწილია. იგი დასავლეთ საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს. საქართველოს სხვა რეგიონებს შორის იმერეთის რეგიონი ტერიტორიის სიდიდის მიხედვით მესამეა სამეგრელო–ზემო სვანეთისა და მცხეთა–მთიანეთის რეგიონების შემდეგ. მისი ფართობი 6518,8 კვ.მ–ია. და საქართველოს ტერიტორიის 19,4%-ს შეადგენს. მოსახლეობის მიხედვით კი რეგიონს პირველი ადგილი უჭირავს. იმერეთი პირობითად იყოფა ზემო და ქვემო იმერეთად, რომელიც აერთიანებს 12 ტერიტორიულ ერთეულს: ქალაქ ქუთაისს, ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის,

საჩხერის, ტყიბულის, ხარაგაულის, ხონის, წყალტუბოსა და ჭიათურის მუნიციპალიტეტებს. რეგიონში შედის 12 ქალაქი, 3 დაბა და 529 სოფელი. იმერეთის რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრი არის ქალაქი ქუთაისი. რეგიონში ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებია მძლავრი ენერგეტიკული ბაზის ჩამოსაყალიბებლად. ასევე იმერეთის რეგიონს აქვს ძალიან დიდი პოტენციალი ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარებისათვის. რეგიონში მაღალია სიღარიბის მაჩვენებელი. 2014 წლის მდგომარეობით რეგისტრირებულია 283,18 ათასი სოციალურად დაუცველი პირი, რაც იმერეთის მოსახლეობის 28% შეადგენს, რეგიონში ირიცხება 27374 იძულებით გადაადგილებული პირი. (წყარო: იმერეთის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წ.)

2014 წელს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" ამოქმედების შემდეგ ახალი პირობები შეიქმნა რეგიონის მართვის გაუმჯობესების, რეგიონის განვითარების საკითხებში საზოგადოების ჩართვის თვალსაზრისით. რეგიონის მართვა ხორციელდება სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის, მისი ადმინისტრაციისა და მხარეში არსებული მინიციპალიტეტების საკონსულტაციო საბჭოს საშუალებით. საბჭო უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტების ინტერესების გათვალისწინებას იმერეთის რეგიონული განვითარების პოლიტიკის შემუშავებისას. რეგიონის დონეზე მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად შესაქმნელია დამატებითი მექანიზმები სტრატეგიის განხორციელების პროცესის მართვის, მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და რეგიონისა და თვითმმართველი ერთეულების დონეზე სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების უზრუნველსაყოფად.

აღსანიშნავია, რომ წინამდებარე მონაცემები ეყრდნობა იმერეთის რეგიონის განვითარების გეგმას 2014-2021 წლებისთვის, რისი მონიტორინგისა და შეფასების შედეგები საინტერესო იქნება სამომავლო დაგეგმვისა და შესაბამისად აქტივობათა განსახორციელებლად. საინტერესოა, რომ არსებულ სტრატეგიას თან ახლავს შესაბამისი სამუშაო გეგმა, რომელშიც დასახულია ამოცანებო სფეროებისა და სექტორების მიხედვით. წინამდებარე კვლევის შინაარსისა და მიზნების შესაბამისად, საყურადღებო ფოკუსია ახალგაზრდათა განათლებისა და დასაქმების პოლიტიკა რეგიონალურ ჭრილში. გარდა ამისა, კველვის მიგნებები საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ პარალელუარად, მიმდინარეობდა რეგიონში არსებული კოლეჯების კვლევა მათი საჭიროებებისა და კერძოდ კი ბიზნეს სუბიექტებთან თანამშრომლობის ხარისხისა და აუცილებლობის დასადგენად. ამავდროულად, კვლევა ჩატარდა რეგიონის ახალგაზრდებს შორისაც (16-29 წელი) მათი დასაქმებისა და განათლების მონაცემების შეგროვების მიზნით (როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში). ასევე, კვლევა მიმდინარეობს ბიზნეს კომპანიებშიც, კადრების/კონკრეტული პროფესიების კადრების მოთხვნის, მათი რაოდენობის და სამომავლო მოთხოვნების ჭრილში მონაცემთა შეგროვებისთვის. აღნიშნული მიგნებები და შედეგები აუცილებელია რეგიონის საგანმანათლებლო პოლიტიკის დასაგეგმად, როგორც ადგილობრივი მთავრობის, ისე ეროვნულ დონეზე განზოგადების მიზნით.

მნიშვნელოვანია, რომ იმერეთის რეგიონი გამოირჩევა მთელი რიგი მიზნობრივი პროექტების, განსაკუთრებით კი ინფრაქსტრუქტურული პროექტების წარმატებით გამხორციელების კუთხით. მისი განვითარების სტრატეგიის სამუშაო გეგმის ამოცანათა უდიდესი ნაწილი მოიცავს ადგილობრივი/რეგიონის ახალგაზრდების საგანმანათლებლო და დასაქმების პროგრამებსა და პროექტებში ჩართვას, რაც ერთმნიშვნელოვნად პრიორიტეტული საკითხია,

როგორც დასაქმების, ისე სიღარიბისა დაძლევისა თუ რეგიონის ეკონომიკური ზრდის ჭრილში.

აქვე, უმნიშვნელოვანესია აღინიშნოს, რომ ბოლო წლების განმავლობაში განათლების სამინისტრო ადგილობრივ მთავრობასთან თანამშრომლობით გეგმავს და ახორციელებს საგანმანათლებლო ცენტრებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების პროექტირებასა და მშენებლობას, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს ადგილობრივი ახალგაზრდების სწრაფ და წარმატებულ ინტეგრირებას შრომისა ბაზარზე, რითიც გაიზრდება ადგილობრივი ეკონომიკა, შემცირდება ახალგაზრდების გადინება რეგიონიდან, შეიქმნება სამუშაო ადგილები და ადამიანური რესურსის მოთხოვნა-მიწოდების ბალანსის სასურველ ნიშნულამდე მიყვანა. მიუხედავად ზემოხსენებული ნაბიჯებისა, რეგიონში კვლავ არსებობს მთელი რიგი გამოწვევები, როგორც საგანმანათლებლო, ისე დასაქემების თვალსაზირისთ, რასაც წინამდებარე კვლევის შედეგებიც ცხადყოფს. მანამ, სანამ რეალურ მონაცემებზე გადავალთ, იხილეთ ოფიციალური სტატისტიკა სამუშაო ძალის მაჩნებელების შესახებ ქვეყნის მასშტაბით:



სამუშაო ძალის მაჩვენებლები, უმუშევრობის დონე საქართველოში%

(წყარო: სტატისტიკის ეროვნული ბიურო - https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba)

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მონაცემებით, 2019 წელს უმუშევრობის საშუალო მაჩვნებელი ქვეყანაში 11.6% იყო, რაც წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესებული შედეგია, თუმცა ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით, სადაც უმუშევრობის საშუალო მაჩვენებელი 6.7%-ია, ორჯერ მაღალია. 2019 წელს, საქართველოში ეკონომიკურად აქტიური იყო 1.911.2 მილიონი ადამინი, მათგან 1.690.2 მილიონი დასაქმებული, ხოლო 221.0 ათასი დაუსაქმებელი. მართალია ყოველწლიურად დაუსაქმებელი ადამინების რაოდენობა მცირდებოდა და 2020 წელსაც წინასწარი მონაცემებით უმუშევრობის მაჩვენებელი კიდევ უფრო უნდა შემცირებულიყო, თუმცა კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ სულ სხვა რეალობის წინაშე დაგვაყენა. საქსტატის მონაცემებით, 2020 წლის II კვარტალში უმუშევრობის დონე წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 0.9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 12.3 პროცენტი შეადგინა. დასაქმების დონე ქვეყნის მასშტაბით შემცირებულია 0.5 პროცენტული პუნქტით, ქალაქის ტიპის დასახლებებში შემცირებულია 1.3 პროცენტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში გაზრდილია 0.2 პროცენტით. კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ დასაქმების პრობლემა შექმნა როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოში. საერთაშორისო მონეტარული ფონდის (IMF) კვლევით მნიშვნელოვნად არის გაზრდილი უმუშევრობა განვითარებულ ქვეყნებშიც. საქართველოს შრომის ბაზარი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალურია: არ არის დაწესებული მინიმალური ხელფასის სავალდებულო ზღვარი, არ არის უმუშევრობის დახმარება და სხვა.. ამის შედეგად საქართველო ბევრჯერ გამხდარა ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების კრიტიკის საგანი, მაგრამ წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით და დასაქმების მაჩვენებლის ამაღლებისათვის რეგულაციებისგან თავისუფალი შრომის ბაზარი უკეთესია. აქვე, სახელმწიფოს ცენტრალიზებული პოლიტიკა, რაღა თქმა უნდა აისახება რეგიონალურ განვითთარებაზეც.



(წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba)

როგორც ზედა სურათიდან ჩანს, ზოგადად ქვეყანაში, უმუშევრობის მაჩვენებელია 17.6%. რაც შეეხება ჩვენს კონკრეტულ სამიზნე რეგიონს, იმერეთს, 2019 წლის მონაცემებით ეს არის 20.9%, რაც, არც თუ ისე დაბალი მაჩვენებელია. თუმცა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და მტკივნეულია დასაქმების ზოგადი ოფიციალური მაჩვენებლები ასაკობრივ ჭრილში ქვეყნის მასშტაბით (იხილეთ ქვემოთ):



მოცემული დიაგრამა გვაძლევს მონაცემებს, რის მიხედვითაც, ქვეყნის მასშტაბით უმუშევრობის დონე ასაკობრივ ჯგუფებში 25%-ზე მეტით ლიდერობს 15-24 წლამადე ახალგაზრდები, რასაც, ასევე მაღალი მაჩვენებლით მოყვება 25-34 წლის ჭრილი და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ 15-24 წელი ემთხვევა სკოლის დამამთავრებელ კლასს, ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მზადებისა და ასევე, უმაღლეს ან პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის (ასეთი არსებობის შემთხვევაში) პერიოდს. თუმცა, მაღალი მონაცემი, რომელიც ფარავს 25-34 წელს, რეალურად მეტად საყურადღებოა, რადგან ამ ასაკში ახალგაზრდა სრულად ინტეგრირებული უნდა იყოს შრომის ბაზარზე, რასაც ვერ ვხედავთ არსებული ოფიციალური მონაცემებით (აქვე, სავარაუდოა, რომ არაოფიციალური მონაცემებით პროცენტული მაჩვენებლი კიდევ უფრო მაღალი უნდა იყოს). უნარების შეუსაბამობის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის სისუსტეა, რაც ხელს უშლის ახალგაზრდების ინფორმირებულობას სამომავლო პროფესიების და უნარების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ხორციელდება მოთხოვნილი უნარების კვლევა და უნარების პროგნოზირება, მისი ეფექტიანობის ვალიდაცია

არ მომხდარა და განათლების სისტემის მიერ მისი გამოყენება არ ხდება, (Policies supporting youth transition to work in Armenia, Azerbaijan, Belarus, Georgia, Moldova and Ukraine, ETF 2019)

მუდმივად ცვალებადი შრომის ბაზარი, ტექნოლოგიური ცვლილებები, გლობალიზაცია და დემოგრაფიული გამოწვევები მოითხოვს ადამიანური რესურსების მდგრად განვითარებას, თითოეული მოქალაქის შესაძლებლობების რეალიზაციისთვის სათანადო პირობების შექმნა მთელი ცხოვრების მანძილზე. ტექნოლოგიების განვითარება, ფართოდ გავრცელებული ავტომატიზაცია და ხელოვნური ინტელექტის გამოყენება გავლენას ახდენს არა მხოლოდ ქვეყნების პროდუქტიულობასა და ეკონომიკურ განვითარებაზე, არამედ განათლებისა და დასაქმების სისტემებზეც; ციფრულ სამყაროში ტრადიციული პროფესიებს ახალი პროფესიები ენაცვლება, საჭირო ხდება ახალი კომპეტენციებისა და უნარების შეძენა, ჩნდება დასაქმების ალტერნატიული ან არატიპიური ფორმები; ყოველივე ეს ადამიანისგან მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლას, განვითარებასა და ადაპტაციას მოითხოვს. სწორედ ამ მიზეზით, უმნიშვნელოვანესია ვიცოდეთ რეგიონალურ ჭრილში (კონკრეტულად სამიზნე რეგიონი - იმერეთის) საჯარო სექტორის ცოდნის დონე და მათი აქტიურობა საგანმანათლებლო და დასაქმების პოლიტიკასთან მიმართებაში. საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია, რომელიც არის მთავრობის აღიარებული სოციალური პარტნიორი, მის გერმანულ პარტნიორ ორგანიზაციასთან BWMV. e.V. 2017 წლიდან ახორციელებს პრექტს - „პროფესიული განათლება და პარტნიორობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში“, რომლის მთავარი მიზანია ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა შრომის ბაზარზე ინტეგრირებისთვის განათლებაში მეტი ბიზნესის ჩართულობის გზით. აღნიშნული პროექტის ფარგლებში არაერთი აქტივობა განხორციელდა იმერეთის რეგიონში, კონკრეტულად ხონის მუნიციპალიტეტში, თუმცა, დადგა საჭიროება კერძო და საჯარო თანამშრომლობის ფორმატი მეტად განვითარდეს და განივრცოს რეგიონის სრულ მასშტაბზე, რასაც თავისთავად ესაჭიროება ყველა დაინტერესებული მხარის ანალიზი განათლებისა და დასაქმების მიმართულებით. წინადებარე კვლევის პარალელურად გამოკითხულია რეგიონში არსებული კოლეჯები, 200-მდე ახალგაზრდა ყველა მუნიციპალიტეტიდან და კომპანიები.

კვლევის ინსტრუმენტები

გამოკითხვა ჩატარდა წინასწარ შემუშავებული კითხვარების საშუალებით; ონლაინ გამოკითხვის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოკითხვის ხანგრძლივობა საშუალოდ 15-20 წუთი იყო.

რესპონდენტთა შერჩევა

რესპონდენტი საჯარო უწყებების შერჩევა მოხდა მიზნობრივად, კერძოდ, შეირჩა იმერეთის რეგინში შემავალი 12 მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურები და გადაეცათ სპეციალურად შემუშავებული კითხვარი, რომლის მონაცემებსაც იხილავთ ქვემოთ.

1. **გთხოვთ, გვიპასუხოთ, როგორია იმერეთის რეგიონში ახალგაზრდების დასაქმების სტატისკიტა, საჯარო/კერძო სექტორში?**



როგორც მონაცემებიდან ირკვევა, იმერეთის რეგიონის ახალგაზრდების დასაქმების სტატისტიკა ასეთია: კერძო სექტორში დასაქმებულია 34%, ხოლო საჯარო სექტროში კი 26%. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა აღნიშნული სტატისტიკის ზუსტ მონაცემებს არ ფლობს: „მუნიციპალიტეტს და სტატისტიკის სამსახურს არ გააჩნია მონაცემები, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების კერძო და საჯარო სექტორში დასაქმების შესახებ, (საჯარო მოხელე იმერეთის რეგიონიდან)“. ასევე, „ზუსტი ციფრის დამადასტურებელი კვლევა არ გვაქვს. (დასაქმების სპეციფიკიდან გამომდინარე როგორიცაა მაგალითად თვითდასაქმებული, ასევე დასაქმებულები ხელშეკრულებების გარეშე. პროცენტის დადგენისათვის უნდა დავეყრდნოთ ეროვნული სტატისტიკის მონაცემებს (საჯარო მოხელე იმერეთის რეგიონიდან)“.
რესპონდენტები, ასევე აღნიშნავენ იმ სავარაუდო (მათი მოსაზრებით) სექტორებს, სადაც ახალგაზრდების დასაქმება მაღალია: „ზოგადად ასახელებენ იმ სექტორებს, რომლებსაც მიიჩნევენ სარესტორნო სავაჭრო მიტანის სერვისებში, სამედიცინო და სააფთიაქო სექტორში დასაქმებულების უმეტესობა 80% წარმოადგენს ახალგაზრდები - საჯარო მოხელე).

თუ გავითვალისწინებთ გამოკითხულთა აზრთა სხვადასხვაობას კითხვასთან მიმართებაში, რომ რეგიონს არ გააჩნია ახალგაზრდების დასაქმების ზუსტი ციფრები, სავარაუდოა, რომ მოცემული მაჩვენებლები არ არის ზუსტი, შესაბამისად, რეგიონს არ გააჩნია დასაქმებულთა აღრიცხვის შესაბამისი ინსტრუმენტი თუ მეთოდოლგია. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ასევე თვითდასაქმებულები და არაფორმალურ სექტორში დასაქმებულები, რაც მნიშვნელოვნად შეცვლიდა მოცემულ მონაცემებსა და ზოგადად სურათს. შესაბამისად:

- რეკომენდირებულია საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობის გაღრმავება მონაცემთა ჯეროვანი შეგროვებისა და უტყუარი ინფორმაციის მოპოვებისა და გაზიარების მიზნით;

- რეკომენდირებულია რეგიონისთვის ერთიანი ინტეგრირებული ბაზის ჩამოყალიბება, რომელიც უნდა შემუშავდეს შესაბამისი ინსტიტუტეციების დამხმარებით (კვლევის მეთოდოლოგია) ადგილობრივი შრომის ბაზრის საკვლევად;
- რეკომენდირებულია საჯარო მოხელეთა (შესაბამისი სამსახურებიდან) გადამზადება და მათი სწავლება შემუშავებული მეთოდოლოგიის ჯეროვანი ოპერირების უზრუნველსაყოფად;
- საერთაშორისო/დონორი ორგანიზაციების აქტივობები აღნიშნული მიმართულებით;
- ადგილობრივი ბიზნესების ჩართულობის გაძლიერება რეგიონალური შრომის ბაზრის მოთხოვნების იდენთიფიცირებისა და ეკონომიკური დაგაგმვის თვალსაზრისით;

2. გთხოვთ გვითხრათ, რამდენად პასუხობს რეგიონის ახალგაზრდების მიერ მიღებული განათლება შრომის ბაზრის მოთხოვნებს იმერეთის რეგიონში?



მოცემული მონაცემები ერთგარი გაურკვევლობის საფუძველს ქმნის, რაგდან კითხვის საპასუხოდ გამოკვეთილი იყო: „სრულად პასუხობს; ნაწილობრივ პასუხობს; ვერ პასუხობს და არ ვიცი“. საგულისხმოა, რომ რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა, ანუ 100% აფიქსირებს პასუხს: რეგიონის ახალგაზრდობის მიერ მიღებული განათლება ნაწილობრიც აკმაყოფლებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. საინტერესოა, რა კრიტერიუმით ხდება შრომის ბაზრის მოთხვონების დადგენა და რამდენად შეუსაბამოა ადგილობრივი ახალგაზრდების მიერ მიღებული განათლება კონკრეტულ მოთხოვნებთან. მოცემულიდან შესაძლოა დავასკვნათ, რომ: გამოკითხულთა არადოკუმენტირებული ვარაუდებია რომელიც შესაძლოა განპირობებული იყოს ზოგადი, ქვაყანაში არსებული კვალიფიციური კარდის დეფიციტთან ასოცირებულ მოსაზრებასთან. შესაბამისად, რეკომენდირებულია:

- არსებობდეს რეგიონში არსებული ბიზნესების კმაყოფილების კვლევა, თუ რამდენად აკმაყოფილებენ კურსდამთავრებული ახალგაზრდების კვალიფიკაცია მათ კონკრეტულ მოთხოვებს;

- კვლევის შედეგების მიხედვით ანალიზის საფუძველზე დადგინდება ხარვეზები რეგიონის შრომის ბაზარსა და ახალგაზრდების მიერ მიღებულ განათლებას შორის, რასაც კონკრეტული რეფორმები და აქტივობები უნდა მოყვეს;
- რეკომენდირებულია პროფესიული განათლებისა და კარიერის დაგეგვის სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება, ასევე შესაბამისი სამოქმედო გეგმის გაწერა, რომელიც რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე განახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს;
- სისტემური შეფასების ინსტრუმენტების დანერგვა და შესაბამისი სამსახურების საჯარო მოხელეთა მომზადება-გადამზადება;

3. გთხოვთ, მონიშნოთ სამი ყველაზე გავრცელებული პრობლემა, რომელიც უკავშირდება ახალგარზდების პროფესიული განათლებისა და შრომის ბაზარზე მათ ინტეგრაციას რეგიონში?



შეკითხვაზე, მონიშნოთ სამი ყველაზე გავრცელებული პრობლემა, რომელიც უკავშირდება ახალგარზდების პროფესიული განათლებისა და შრომის ბაზარზე მათ ინტეგრაციას რეგიონში, საჯარო მოხელეთა პასუხები ასე გადანაწილდა: რეგიონისთვის შეუსაბამო საგანმანათლებლო პროგრამები - 0%; პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ნაკლებობა -53.3%; პროფესიული საგანმანაათლებლო პროგრამების შეუსაბამობა ადგილობრივი ბაზრისა და ბიზნესის მოთხოვნებთან - 6.7%; ახალგაზრდების მოტივაციის ნაკლებობა პროფესიული განათლების მიღების თვალსაზრისით -53.3%; სასწავლო და სატრენინგო პროგრამების ნაკლებობა რეგიონში (ფორმალური და არაფორმალური) - 26.7%; ზოგადად, ახალგაზრდული პროგრამების ნაკლებობა - 40%. ძალიან საინტერესოა რესპონდენტთა პასუხები ზამოაღნიშნულ კითხვაზე. საგულისხმოა, რომ რესპონდენტთა სრული უმრავლესობა უმთავრეს პრობლემად მიიჩნევს ახალგაზრდათა მოტივაციის ნაკლებობას პროფესიული განათლების მიღების თვალსაზრისით. მეტიც, უმრავლესობა ასევე მიიჩნევს, რომ დიდი პრობლემაა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ნაკლებობაც. პროფესიულ სწავლებას უკავშირდება ის პრობლემაც, რომელიც გულისხმობს სასწავლო და სატრენინგო პროგრამების ნაკლებობას რეგიონში (როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური);. თუკი რესპონდენტთა უმრავლესობა ამბობს, რომ ახალგაზრდებს არ აქვთ მოტივაცია ჩაერთონ პროფესიულ განათლებაში, მაშინ რატომაა საგანმანათლებლო

პროფესიული დაწესებულებების ნაკლებოდა აღნიშნულის მიზეზი. რეალურად, ის პროფესიული კოლეჯები, რომლებიც უკვე არსებობს რეგიონში ახალგაზრდათა მხრიდან გარკვეულ დონეზე დაინტერესების მიღმაა. წინამდებარე კითხვის მომდევნო კითხვაა აქვს თუ არა რეგიონს განათლების წახალისების სტრატეგია, სადაც 60% აფიქსირებს, რომ რეგიონს აქვს ასეთი. თუკი რეგიონში არსებობს განათლების, მათ შორის პროფესიული განათლების წამახალისებელი პოლიტიკა, რაშია პრობლემა, რომ რეგიონის მუნიციპალური სამსახურები მიიჩნევენ უდიდეს პრობლემად მოტივაციის ნაკლებობასა და საგანმანათლებლო დაწესებულებების/კოლეჯების სიმწირეს?

საკმაოდ დიდი პროცენტი აქვს შეკითხვას, რომელიც გულისხმობს ახალგაზრდათა პროგრამების ნაკლებობას რეგიონის მასშტაბით, ძალიან საინტერესოა ნულოვანი მაჩვენებალი კითხვაზე, რომლითაც რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ რეგიონში საგანმანათლებლო პროგრამები სრულ შესაბამისობაშია. რესპონდენთა პასუხებიდან, რომელიც არ ქმნის სრულ სურათს პრობლემებთან მიმართებაში, შესაძლოა შემდეგი დასკვნების გაკეთება:

- რეგიონში არსებობს რეგიონის განვითარების სტრატეგია, რომლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობები საგანმანათლებლო მიმართულებით, თუმცა კონკრეტული ღონისძიებები აღნიშნული მიმართულებით არ აღინიშნება, რაც ქმნის ზოგადი მიდგომის განცდას;
- ახალგაზრდების მოტივაციის ნაკლებობა უკავშირდება პროფესიული განათლებისა და შრომის ბაზაზრე მათი ინტეგრაციის ზოგად პრობლემას, რაც თავისთავად კავშირშია პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სტრატეგიის უქონლობას და ამავდროულად, პროფესიული განათლების იმიჯის ჯერ კიდევ დაბალ დონეს. აღნიშნული თავის მხრივ უკავშირდება ზოგადსაგანმანათლებლო/სკოლების არასათანადო ჩართულობას პროფესიული ორიენტაციის აქტივობებში. შესაბამისად, რეკომენდირებულია სკოლების ჩართვა პროფესიული ორიენტაციის ღონისძიებებში, კოლეჯების გააქტიურება სკოლებთან თანამშრომლობის მიმართულებით და ამასთანავე, რეგიონის ბიზნესის გააქტიურება პროფ.ორიენტაციისა და საგანმანათლებლო სექტორთან მიმართებაში.
- ქვეყნის მწირი რესურსებიდან გამომდინარე, სასურველია საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების გააქტიურება რეგიონში სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების შექმნისა და ახალგაზრდების მათში ინტეგრაციის მიზნით;
- ახალგაზრდების ჩართვა რეგიონის საგანმანათლებლო და განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესებში;
- მოსწავლეთა ინტერესების კვლევა სკოლის დონეზე, შემდგომი პროფესიული ორიენტაციის აქტივობათა სწორი და მიზნობრივი დაგეგმვისთვის, რაც თავის მხრივ უნდა უკავშირდებოდეს რეგიონის ადგილობრივი ბაზრის კვლევასა და ანალიზს;
- რეკომენდირებულია საჯარო მოხელეთა აქტიური ჩართვა ქვეყანაში მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმებისა და აქტივობების მიმართულებით; ასევე, რელევანტურ საერთაშორისო პროექტებში;
- კერძო და საჯარო თანამშრომლობის გაძლიერება ახალგაზრდების მოტივაციის ზრდისა და მათი ინტეგრირების მიზნით შრომის ბაზარზე;
- შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროექტების შემუშავება, რომელიც მორგებული იქნება რეგიონის სპეციფიცკას;

4. აქვს თუ არა რეგიონს განათლების წახალისების ზოგადი პოლიტიკა/სტრატეგია?



წინამდებარე კითხვაზე რესპონდენტების პასუხები ასე გადანაწილდა: 60% ამბობს, რომ რეგიონს განათლების წახალისების ზოგადი პოლიტიკა/სტრატეგია აქვს; 33% აფიქსირებს, რომ ასეთი არ აქვს, ხოლო 7% კი ამბობს, რომ არ იცის მსგავსის შესახებ. საგულისხმოა, რომ საკმაოდ დიდი პროცენტი რესპონდენტებისა ამობს, რომ რეგიონს არ გააჩნია განათლების წახალისების პოლიტიკა, რის საპირისპიროსაც აფიქსირებს გამოკითხულთა 60%. თუკი რეგიონს აქვს განათლების წახალისების ზოგადი პოლიტიკა/სტრატეგია, მაშინ იგი უნდა ვრცელდებოდეს სრულად, რეგიონში შემავალ ყველა მუნიციპალიტეტზე თანაბრად და შესაბამისად, მის აღსრულებაში უნდა მონაწილეობდეს რეგიონის ყველა შესაბამისი მუნიციპალური სამსახური. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ რესპონდენტთა 7% ამბობს, რომ არ იცის ასეთი პოლიტიკის არსებობის შესახებ. აქედან, შეგვიძლია საფუძვლიანად ვივარაუდოთ, რომ რეგიონს არ აქვს დაზუსტებული, კონკრეტული (ზოგდი სტრატეგია არსებობს, რომელშიც არის განათლებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიმართულება) რეგიონალური განათლების წახალისებისა და ხელშეწყობის დეტალური სამოქმედო გეგმა. გარდა მისა, სასურველია საჯარო უწყებებში დასაქმებული პირები, მათ შორის ახალგაზრდები მეტად იყვნენ ჩართული საგანმანათლებლო პროცესებში, კონკრეტულად კი საჯარო-კერძო თანამშრომლობის ფორმატში. მაშასადამე:

- რეკომენდირებულია დეტალური სამოქმედო გეგმის გაწერა პროფესიული ორიენტაციისა და პროფესიული განათლების წასახალისებლად, რომელიც თანხვედრაშია ქვეყნის ზოგად სტრატეგიასთან;
- კერძო და საჯარო თანამშრომლობის გაძლიერება განათლებისა და დასაქმების ხელშეწყობისთვის რეგიონის მასშტაბით;
- სკოლების ჩართვა მოსწავლეთა ინტერესების დასადგენად, რის შემდეგაც უნდა მოხდეს შესაბამისი პროფესიული პროგრამების შემუშავება, რაც კავშირში უნდა იყოს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;

- საჯარო მოხელეთა მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა შესაბამის პროგრამებსა თუ პროექტებში; და სხვ...

5. გთხოვთ, მიუთითოთ რა აქტივობები მიმდინარეობს პროფესიული განათლების პოპულარიზაციის თვალსაზრისით რეგიონში?



ძალიან საინტერესო პასუხები აქვთ რესპონდენტებს კითხვაზე - „გთხოვთ, მიუთითოთ რა აქტივობები მიმდინარეობს პროფესიული განათლების პოპულარიზაციის თვალსაზრისით რეგიონში?“. გამოკითხულთა 73.3% ამბობს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მატება/მშენებლობა არის ის აქტივობები, რომელიც ხორციელდება რეგიონში პროფესიული განათლების პოპულარიზაციისთვის. საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების სპეციფიკური პროექტები - 13.3%; რესპონდენტთა 26.7% აფიქსირებს სახელმწიფო პროგრამებს, ხოლო არც ერთი პროცენტი არ აქვს „არ ვიცი“ და “ასეთი არ ხორციელდება“.

ანალიზში არის კითხვა - „დაასახელეთ სამი ყველაზე გავრცელებული პრობლემა, რომელიც უკავშირდება ახალგარზდების პროფესიული განათლებისა და შრომის ბაზარზე მათ ინტეგრაციას რეგიონში?“ მონაცემებიდან გამომდინარე 53.3% რესპონდენტებისა ამბობდა, რომ ყველაზე დიდი პრობლემა ახალგაზრდების მოტივაციის ნაკლებობაა პროფესიული განათლების მიღების თვალსაზრისით, ხოლო, 53.3% კი მიიჩნევს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ნაკლებობაა ახალგაზრდების პროფესიულ განათლებაში მწირი ჩართულობისა. აქვე, 40% ამბობს, რომ რეგიონში ასევე პრობლემაა ახალგაზრდული პროგრამების კუთხითაც და ა.შ. აღსანიშნავია, რომ რეგიონის შესაბამისი სამსახურები მიუთითებენ საგანმანათლებლო დაწესებულებების ნაკლებობას, თუმცა ამავე

დროს აღნიშნავენ ახალგაზრდების მოტივაციის სიმწირესაც პროფესიული განათლებით დაინტერესებისადმი. საგულისხმოა, რომ ისინი ასევე თვლიან, რომ პროფესიული განათლებით დაინტერესება უნდა ხდებოდეს სკოლის/ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურზე. მოკლველვის საგანია ახალი პროფესიული საგანმამათლებლო დაწესებულებების რაოდნობრივი ზრდის პოლიტიკა, რომელიც რეგიონში ხორციელდება, უზრუნველყოფს თუ არა ახალგაზრდების მოტივაციისა და დაინტერესების ზრდას. აღნიშნულის უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ პროფესიული ორიენტაციის მიზნობრივი და შედეგობრივი აქტივობების განხორციელების საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ არსებობს გარანტია, რომ ახალგაზრდათა შორის პროფესიული განათლებისადმი ინტერესის ზრდა განპირობებული იქნება პროფესიული დაწესებულებების რაოდენობრივი ზრდის საფუძველზე. გარდა ამისა, ყოველივე ზემოხსენებული უნდა უკავშირდებოდეს ადგილობრივი შრომის ბაზრის სისტემურ კვლევებსა და შესაბამისი ანალიზის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას ახალგაზრდების დასაქმების უზრუნველსაყოფად, რაც რეალურად კიდევ რჩება პრობლემად არამხოლოდ რეგიონის, არამედ ქვეყნის მასშტაბითაც.

საინტერესოა მიგნებები სხვა კვლევებიდან, მაგ: „კითხვაზე - შეიძლება თუ არა პროფესიული განათლება ჩაითვალოს უმაღლესი განათლების ალტერნატივად, რესპონდენტთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ არჩევანი საკუთარ ინტერესებზე დაყრდნობით უნდა გააკეთოს ახალგაზრდამ და მნიშვნელობა არ აქვს ეს პროფესიული განათლება იქნება თუ უმაღლესი, ხოლო მეორე ნაწილს მიაჩნია, რომ მომავალმა სტუდენტმა საკუთარი ინტელექტუალური შესაძლებლობების შესაბამისად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. ფოკუს ჯგუფის დისკუსიის მონაწილე ახალგაზრდების ერთი ნაწილის მოსაზრებით, თუ სკოლაში მოსწავლე გამოირჩევა კარგი აკადემიური მოსწრებით, სასურველია მან სწავლა პროფესიულ სასწავლებელში არ გააგრძელოს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მათივე თქმით არსებობს გამონაკლისები, როდესაც ახალგაზრდას სურს ისეთი პროფესიის დაუფლება, რომელსაც უმაღლეს სასწავლებელში ვერ შეიძენს (მაგალითად, კულინარია). ამ შემთხვევაში კი, არჩევანის პროფესიული სასწავლებლის სასარგებლოდ გაკეთება რესპონდენტებს მართებულად მიაჩნიათ. პროფესიული განათლების, როგორც უმაღლესი განათლების ალტერნატივად განხილვისას, თვისობრივი კვლევის მონაწილე რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ ზოგიერთი სპეციალობის მქონე ახალგაზრდები უკეთესად საქმდებიან დღესდღეობით, ვიდრე ისეთი პოპულარული პროფესიების მქონენი, როგორიცაა იურისტი, ეკონომისტი, ექიმი და ა.შ. აღნიშნულ ფაქტორს, რესპონდენტთა მოსაზრებით, შესაძლოა განაპირობებდეს პოპულარული ფაკულტეტების კურსდამთავრებულთა სიჭარბე შრომის ბაზარზე, როდესაც ამა თუ იმ სპეციალობის მქონე კადრების დეფიციტია. (source: კვლევა - თაობა გარდამავალ პერიოდში, 2016 წ. Friedrich Ebert Stiftung)“. წინამდებარე მოსაზრებები ცხადყოფს, რომ ახალგაზრდები ჯანსაღად აფასებენ და უყურებენ პროფესიულ განათლებას, რასაც რეალურად ხელს უშლის ტრადიციული სტერეოტიპები საზოგადოებაში, რომელიც მიიჩნევს, რომ პროფესიული განათლება არ არის პოპულარული, აქვს ცუდი იმიჯი (ხშირად საბჭოთა მენტალური გადმონაშთიდან, ატარებს სადამსჯელო ხასიათს), მშობელი წყვეტს შვილის სამომავლო პროფესიას და უხეშად ერევა პროფესიულ არჩევანში და ა.შ. შესაბამისად, რეკომენდირებულია:

- საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობრივ ზრდასთან ერთად განხორციელდეს რეგიონის ღრმა და სისტემური შრომის ბაზრის მოთხოვნების კველვა

და შესაბამისი ანალიზი, რომლის საფუძველზეც მოხდება შესაბამისი პროფესიული საგანამათლებლო პროგრამების შემუშავება;

- სკოლებში ჩატარდეს მოსწავლეთა ინტერესების კვლევა, რომელიც მოგვცემს რეალურ სურათს თუ რა სფეროებით არიან დაინტერესებული მოსწავლეები და შესაბამისად მოხდეს მათი გათვალისწინება;

6. როგორ ფიქრობთ, განათლების რომელ საფეხურზეა ყველაზე მნიშნელოვანი პროფესიული განათლების წახალისება და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა, მათ შორის საჯარო უწყებების?



შეკითხვაზე, თუ რომელ საფეხურზეა ყველაზე მნიშვნელოვანი პროფესიული განათლების წახალისება და მათ შორის, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა საჯარო უწყებების ჩათვლით, რესპონდენტების პასუხები არაერთგვაროვანია; მათგან 53.30% მიიჩნევს, რომ პროფესიული განათლების წახალისება და მასში მხარეთა ჩართულობა უნდა განხორციელდეს სკოლის/ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურზე; 33% მიიჩნევს, რომ პროფესიული განათლების დონეზე, ხოლო 13.30% კი თვლის, რომ ეს უნდა ხდებოდეს უმაღლესი განათლების საფეხურზე. ძალიან საინტერესოა, რომ საკმაოდ დიდი პროცენტი აქვს პროფესიული განათლების საფეხურს, რაც ერთმნიშვნელოვნად არასახარბიელო პასუხია, რადგან პროფესიული განათლებს წახალისება უნდა ხორციელდებოდეს ზოგადსაგანმანათლებლო დონეზე, რასაც აღნიშნავს 53.30%. რაც შეეხება პასუხს - სიცოცხლის მანძილზე - მას აქვს რესპონდენტთა 13.30% რაც საკმაოდ დაბალია და მისი წახალისება უნდა ხდებოდეს, მათ შორის პროფესიული განათლების წახალისების პარალელურად. ყველა ადამიანს, მისი სიცოცხლის ყველა საფეხურზე აქვს უფლება მიიღოს განათლება და მოახდინოს თვითრეალიზაცია შრომის ბაზარზე.

7. **გთხოვთ, მიუთითეთ რა პროექტები ხორციელდება რეგიონში ახალგაზრდათა შორის მეწარმეობის წახალიხების მიზნით?**

მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ იმერეთის რეგიონი არის ერთ-ერთი მოწინავე რეგიონი სასოფლო-სამეურნეო, ინფრაქსტურტურული და სხვ...პროექტების განხორციელების თვალსაზრისით. განსაკუთრებით ბოლო წლების განმავლობაში ათობით სარეაბილიტაციო, აღმშენებლობითი, ინფრაქსტრუქტურული, სასოფლო-სამეურნეო, სამეწარმეო და ა.შ. პროექტი განხორციელდა იმერეთის რეგიონის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში. რესპონდენტები გვაწვდიან იმ პროექტების ჩამონათვალს, რომელიც ხორციელდება ან განხორციელებულა რეგიონში ახალგაზრდების მეწარმეობის წახალისების მიზნით, ესენია:

- წყალტუბოს განვითარების ფონდი; LAG; ჩეხური ორგანიზაცია „ადამიანი გაჭირვებაში“, რომელიც წელიწადში რამდენჯერმე აცხადებს საგრანტო კონკურსს მეწარმეობის წახალისების მიზნით სადაც პრიორიტეტი სწორედ ახალგაზრდების მეწარმეობის ხელშეწყობაა (იდეების გენერირება, წახალისება, საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის მხარდაჭერა, გამოფენა-გაყიდვების ორგანიზება და ა.შ.). პერსონა-მარანი, რასაც სხვა ინფრასტრუქტურული პროექტებუ უკავშირდება;

- ,,აწარმოე საქართველოში“ პროგრამით გათვალისწინებული პროექტების ფარგლებში, ახალგაზრდებს საშუალება აქვს ისარგებლონ, როგორც საგრანტო ასევე შეღავათიანი სასესხო პირობებით დატვირთული დაფინანსებით.

- ,,დანერგე მომავალის“ პროექტის ფარგლებში, სოფლის მეურნეობის დარგით დაინტერესებულ ახალგაზრდებს, საშუალება აქვს ისარგებლონ საგრანტო პროგრამებით.

- სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების (UNICEF, GRETA და სხვა) პროექტები მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით.

- ხონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები დევნილი ახალგაზრდებისთვის ხორციელდება შეგირდობის პროგრამა, რომელიც მოიცავს 10 თვეს და ითვალისწინებს ყოველთვიურ სუბსიდირებას. 2. ,, ვეტერინარული სკოლა ახალგაზრდებისათვის" (აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი განხორციელდა პროექტის - პროფესიული განათლებისა და პარტნიორობის პროექტი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, რომლის ფრაგლებშიც ჩატარდა წინამდებარე კვლევა).

რესპონდენთა მიერ ჩამოთვლილი პროექტების ნუსხა, რომელიც იმერეთის რეგიონში ხორციელდება უმნიშვნელოვანესია რეგიონის ახალგაზრდების სამეწარმეო წახალისებისა და ზოგადად ეკონომიკური პროგრესის თვალსაზრისით. საინტერესოა განხორციელებული პროექტებიდან ბენეფიციართა ასაკობრივი მაჩვენებელი და სტატისტიკური მონაცემები თუ რამდენ ადამიანს ასაქმებს ახალი ბიზნესები, როგორია მათი განვითარების დადებითობის ინდიკატორი, რა პროფესიებზეა მოთხოვნა სტარაპერებისგან და ა.შ.

8. გაიზარდა თუ არა ახალგაზრდათა შორის მეწარმეობის სტატისტიკა ბოლო 2 წლის განმავლობაში?



მოცემული გრაფიკის მიხედვით, რესპონდენტთა მოსაზრება ახალგაზრდათა შორის მეწარმეობის სტატისტიკასთან დაკავშირებით იმერეთის რეგიონში ასეთია: 66.70% ამბობს, რომ დიახ, ახალგაზრდების სამეწარმეო სტატისტიკა გაიზარდა; 7% ფიქრობს, რომ არ გაზრდილა, 13.30 % არ ფლობს ინფორმავიას აღნიშნულთან დაკავშირებით, იგივე რაოდენობა, ანუ 13%.30 ვერ სცემს პასუხს დასმულ შეკითხვას. რესპონდენტთა საკმაოდ მაღალი პროცენტი მიიჩნევს, რომ ახალგაზრდებს შორის მეწარმეობის სტატისტიკა გაიზარდა (66.7%), რაც თავისთავად უდიდესი ნაბიჯია ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებისა და ეკონომიკური ზრდის კუთხით, თუმცა, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ის პროცენტული ჯამი, რომელიც მკვეთრად დადებითად არაა გამოხატული, ანუ არ ფლობს ინფორმაციას, ვერ ცემს პასუხს და მიიჩნევს, რომ არ გაუმჯობესებულა საკმაოდ მაღალია (დაახლ: 34%) თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული მეწარმეობის წახალისებაზე ორიენტირებული და ეკონომიკურ ზრდაზე ფოკუსირებული პროექტების მნიშვნელობას, უნდა ვივარაუდოთ, რომ ზუსტი მონაცემების აღრიცხვა/მონიტორინგი რეგიონულ დონზე დაბალია. შესაბამისად, რეკომენდაციები, რომელიც წინა კითხვის ანალიზისას იქნა გაცემული რელევანტურია მოცმული მონაცემებისთვისაც. აქვე, გასათვალისწინებელი პანდემიური ფონი, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს არებული პროექტების განხორციელებას მიზან-შედეგობრივი თვალსაზრისით.

9. **რომელი წყაროდან ღებულობთ ინფორმაციას თქვენს მუნიციპალიტეტში/რეგიონში არსებული ვაკანსიების შესახებ?**



შეკითხვაზე, თუ რომელი წყაროებით ღებულობენ ინფორმაციას რესპონდენტები არსებული ვაკანსიების შესახებ, პასუხები ასე გადანაწილდა, რაც ერთმნიშვნელოვნად მოსალოდნელიც იყო კვლევის დაწყებამდე. გამოკითხულთა 86.3% აღნიშნავს, რომ ეს წყარო ინტერნეტია, ხოლო 33.3% კი ამბობს, რომ ეს არის შესაბამისი საჯარო უწყებები, თუმცა არ აკონკრეტებს თუ რომელი. მნიშვნელოვანია ის ინტერნეტ წყაროებიც, რომლითაც მოცემული სამიზნე ჯგუფი სარგებლობს, რადგან საქართველოში დღეს-დღეობით ყველაზე მეტად გავრცელებული წყაროა: www.hr.ge და www.jobs.ge , სადაც განთავსებულია კერძო სექტორსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოცხადბული ვაკანსიები. სავარაუდოა, რომ რესპონდენტთა პასუხი „შესაბამისი საჯარო უწყებები“ მიეკუთვნება სპეციფიკურ საჯარო პორტალს, სადაც მხოლოდ აღნიშნული სექტორის მიერ გამოცხადებული ვაკანსიების განთვსება ხორციელდება.

10. **როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება დაეხმაროს ახალგაზრდებს შრომის ბაზარზე ინტეგრაციაში?**



მნიშველოვანია რეგიონის საჯარო უწყებათა წარმოადგნლების ხედვა შეკითხვაზე, თუ რა შეიძლება დაეხმაროს ახალგაზრდებს შრომის ბაზარზე ინტეგრაციაში. მონაცემები ასეთია: დასაქმების სააგენტო - 6.7%; სტაჟირების შესაძლებლობა-40.0%; პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება- 46.7%; მოკლევადიანი გადამზადების პროგრამები-20.0%; პირადი კავშირები - 0.0%; რეგიონალური განვითარების პროგრამები და პროექტები-6.7%;

გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სტაჟირება და პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება დაეხმარება ახალგაზრდებს შრომის ბაზაზრე ინგერაციის პროცესში. ეს მიდგომა უმნიშვნელოვანესია და სრულ შესაბამისობაში ეროვნულ სტრატეგიასთან. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საკმაოდ დაბალი პროცენტი მიეკუთვნა რეგიონალური განვითარების პროგრამებსა და პროექტებს, რაზეც უდიდესი აქცენტი იყო გაკეთებული წინა შეკითხვების საპასუხოდ. თუკი გავითვალისწინებთ, რომ ახალგაზრდებს შორის მეწარმეობა გაიზარდა მთელი 67%-ით, უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულის პარალელურად გაიზარდა დასაქმებულთა რაოდნობაც, როგორც სახელმწიფო პროგრამებისა და პროექტების შედეგი, რაც რეალურად ძალიან ბუნდოვანია მოცემული მონაცემებით. პროფესიული უნარ-ჩვევებისა და სტაჟირების შესაძლებლობებს რაც შეეხება, უნდა აღვნიშნოთ, რომ ადგილობრივ უწყებებს სისტემური და მიზნობრივი კომუნიკაცია უნდა ქონდეთ ბიზნეს ოპერატორებთან, როგორც სტაჟირების მიმღებ პირებთან. შესაბამისად, რეკომენდირებულია:

- მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამების ხელშეწყობა რეგიონის მასშტაბით, რომელიც მიზანმიმართულია ახალგაზრდების (და არამხოლოდ) შრომის ბაზარზე სწრაფ ინტეგრირებაზე;

- ახალგაზრდების სამეწარმეო ხელშეწყობის პროექტების მხარდაჭერა და ხელშეწყობა, ასევე არსებული ახალგაზრდათა ბიზნესების მონიტორინგი დასაქმებულთა რიცხონობის თვალსაზრისით (რამდენად გაიზარდა დასაქმებულთა რიცხვი);
- ადგილობრივი ბიზნესების წახალისება საგანმანათლებლო პროექტების განხორცელებისა და მეტი ჩართულობის თვალსაზრისით;
- რეგიონის ზოგადი პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმის გაუმჯობესება განათლებისა და დასაქმების ხელშეწყობის კუთხით;

11. ღებულობთ თუ არა მონაწილეობას რეგიონში არსებული პროექტების/პროგრამების ფარგლებში არსებულ აქტივობებში, რომელიც მიმართულია ახალგაზრდების განათლებისა, განვითარებისა და დასაქმებაზე ხელშეწყობისკენ?



შეკითხვაზე, „ღებულობთ თუ არა მონაწილეობას რეგიონში არსებული პროექტების/პროგრამების ფარგლებში არსებულ აქტივობებში, რომელიც მიმართულია ახალგაზრდების განათლებისა, განვითარებისა და დასაქმებაზე ხელშეწყობისკენ“, რესპონდენტთა სრული 100% აცხადებს „დიახ“. მოცემული მაჩვენებლი უდავოდ დადებითია.

12. **მიიღებდით მონაწილეობას სამომავლოდ ისეთ აქტივობებში, რომელიც დაეხმარებოდა რეგიონის ახალგაზრდების განათლებისა და დასაქმების პოლიტიკის დახვეწას და შესაბამისი აქტივობების უზრუნველყოფას?**



წინამდებარე შეკითხვაზე „მიიღებდით მონაწილეობას თუ არა სამომავლოდ ისეთ აქტივობებში, რომელიც დაეხმარებოდა რეგიონის ახალგაზრდების განათლებისა და დასაქმების პოლიტიკის დახვეწას და შესაბამისი აქტივობების უზრუნველყოფას“ პასუხი, ლოგიკური გაგრძელებაა წინა შეკითხვისა, რაც მყარ საფუძველს იძლევა, რომ სამომავლო პროგრამებისა და პროექტების (როგორც ადგილობრივი ისე საერთაშორისო) ინტეგრირება რეგიონული განვითარების სტარტეგიაში მნიშვნელოვანია.

13. **რამდენად შეცვალა COVID 19-მა თქვენი რეგიონის დინამიკა?**



საქართველო მცირე ზომის ღია ეკონომიკაა, და დიდადაა დამოკიდებული საგარეო ფაქტორებზე. გამონაკლისი არც Covid-19-ით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი და მისი გავლენაა საქართველოზე. კერძოდ, მსოფლიო პანდემიამ საქონლის ექსპორტიდან და საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლების, ფულადი გზავნილებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებების მნიშვნელოვანი კლება განაპირობა, თუმცა დადებითი ხასიათის პროგნოზები შეიმჩნევა.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მონაცემების მიხედვით, მხოლოდ 2020 წლის მეორე კვარტალში გლობალურმა ეკონომიკამ სამუშაო საათების 6.7% დაკარგა (რაც 195 მილიონ, სრულ განაკვეთზე დასაქმებულ, სამუშაო ძალას ნიშნავს), ეს გაცილებით დიდი მაჩვენებელია 2008-09 წლების ფინანსური კრიზისის დროს გაუქმებულ სამუშაო ადგილებზე. გლობალური სამუშაო ძალის 38% დასაქმებულია საწარმოებში, სასტუმროებში, ტურიზმის სექტორში, ვაჭრობისა და ტრანსპორტის სფეროში და იმ სერვისებში, რომელიც დღეს მოთხოვნისა და შემოსავლების მკვეთრ ვარდნას განიცდის და გაკოტრების პირასაა. რაღა თქმა უნდა, წინამდებარე გრაფიკიდანაც ჩანს, რომ პანდემიამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია თავად რეგიონზე, უფრო კონკრეტულად კი, რესპონდენტთა 20% ამბობს, რომ პანდემიამ რეგიონის დინამიკა „საკმაოდ შეცვალა“, ხოლო 80% კი ფიქრობს, რომ „ძალიან შეცვალა“. რეალურად თუ შევაჯამებთ მოცემულ მონაცემებს, თითქმის 100% ფიქრობს, რომ რეგიონის ცხოვრება შეცვლილია მიმდინარე პანდემიით.

კვლევის ძირითადი მიგენებები და რეკომენდაციები

როგორც წინამდებარე კვლევის ანალიზში აღინიშნა, კვლევის მიზანია იმერეთის რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების საგანმანათლებლო პროექტებზე წვდომისა და მათი შრომის ბაზარზე ინტეგრაციის შესაძლებლობების გამოვლენა სახელმწიფო სამსახურების ხედვით. კველვა მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს: იმერეთის რეგიონში ახალგაზრდების დასაქმების სტატისკიტა, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში და რამდენად პასუხობს ახალგაზრდების მიერ მიღებული განათლება შრომის ბაზრის მოთხოვნების იმერეთის რეგიონში; გავრცელებული პრობლემები, რომელიც უკავშირდება ახალგარზდების პროფესიული განათლებისა და შრომის ბაზარზე მათ ინტეგრაციას რეგიონში; რეგიონს განათლების წახალისების ზოგადი პოლიტიკა/სტრატეგია და რა აქტივობები მიმდინარეობს პროფესიული განათლების პოპულარიზაციის თვალსაზრისით რეგიონში; რომელ საფეხურზეა ყველაზე მნიშნელოვანი პროფესიული განათლების წახალისება და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა, მათ შორის საჯარო უწყებების; პროექტები, რომელიც ხორციელდება რეგიონში ახალგაზრდათა შორის მეწარმეობის წახალიხების მიზნით და რამდენადაა გაზრდილი ახალგაზრდათა შორის მეწარმეობის სტატისტიკა ბოლო 2 წლის განმავლობაში და წყაროები, რომლითაც გროვდება და კეთდება ანალიზი მუნიციპალიტეტში/რეგიონში არსებული ვაკანსიების შესახებ და რა ეხმარება რეგიონის ახალგარზდებს შრომის ბაზარზე ინტეგრაციას; რამდენადაა ჩართული სახელმწიფო უწყებები და რამდენად ჩაერთვებიან არსებულ თუ ამომავლო პროექტების/პროგრამებში, რომელიც მიმართულია ახალგაზრდების განათლებისა,

განვითარებისა და დასაქმებაზე ხელშეწყობისკენ; რამდენად შეცვალა COVID 19-მა იმერეთის რეგიონის დინამიკა; მიგნებები და რეკომენდაციები სამომავლო აქტივობებისთვის;

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე კვლევის პარალელურად, მოკვლევა მიმდინარეობს პარალელურ რეჟიმში რეგიონში მოქმედ სამ სამიზნე ჯგუფთან - ახალგაზრდებს, რეგიონში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, უფრო ზუსტად კი კოლეჯებსა და ადგილობრივ ბიზნეს კომპანიებს შორის. კველვის სამიზნე ჯგუფებში ძირითადი საგანია რეგიონის საგანამანათლებლო და დასაქმების პოლიტიკის შეფასება და სამომავლო რეკომენდაციები მათი სრულყოფისათვის. შესაბამისად, მიგნებები და რეკომენდაციები რეგიონის ახალგაზრდების საგანმანათლებლო და დასაქმების პოლიტიკის განვითარების თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია. კერძოდ:

- აუცილებელია კერძო და საჯარო თანამშრომლობის გაძლიერება რეგიონალურ დონეზე, განათლებისა და დასაქმების პოლიტიკის არსებული გეგმების გადახედვისა და სრულყოფის მიზნით;
- საკვანძო აქტიორთა ჩართულობის ზრდა ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მიმართებაში ახალგაზრდების უნარების შეუსაბამობის შემცირების მიზნით;
- შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის, მოთხოვნადი უნარების/პროფესიების შესახებ ახალგაზრდებისთვის ინფორმაციის მიწოდების მექანიზმების გაუმჯობესება;
- ახალგაზრდების დასაქმების და კარიერული განვითარების პროცესში არსებული არაფორმალური და ფორმალური განათლების სისტემის გაუმჯობესება;
- მეწარმეობის წამახალისებელი პროგრამების ახალგაზრდების საჭიროებებზე უკეთ მორგება,
- ასევე, მეწარმეობის სფეროში უნარების მიწოდების სისტემის გაუმჯობესება;
- განხორციელებული სახელმწიფო პროექტებისა და პროგრამების ადგილობრივი მონიტორინგი ახალგაზრდების მიერ წამოწყებული ბიზნესებს შორის ახალგაზრდა დასაქმებულთა სტატისტიკის უზრუნველსაყოფად;
- პროფესიული ორიენტაციის აქტივობათა გააქტიურება და მათში ჩართულობის ზრდა (ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული განათლების დაწესებულებებთან, ასევე ბიზნესის ჩართულობის გასაძიერებლად);
- ადგილობრივი შრომის ბაზრის დინამიკის სისტემური კვლევა და საგანმანათლებლო თუ დასაქმების რეგიონული პოლიტიკის მუდმივი ადაპტირება მიგნებებისა და კვლევის ანალიზის შესაბამისად;
- საჯარო მოხელეთა (შესაბამისი სამსახურებიდან) გადამზადება და მათი სწავლება შემუშავებული მეთოდოლოგიის ჯეროვანი ოპერირების უზრუნველსაყოფად;

დასკვნა:

წინამდებარე კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავდა სამ საკვლევ ჯგუფს შორის - საჯარო სამსახურები, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები და ახალგაზრდები იმერეთის რეგიონში, რეკომენდირებულია:

- პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს განათლების ყველა საფეხურზე შესაბამისი აქტივობებისა და სისტემის მუშაობას;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების/კოლეჯების და კერძო სექტორის მჭიდრო თანამშრომლობას, განსაკუთრებით პროფესიული ორიენტაციის გაძლიერების მიმართულებით, რადგან სწორედ ეს საფეხურია გარდამტეხი და გადამწყვეტი პროფესიული განათლების პოპულარიზაციისა და ქმედითი ოპერირების უზრუნველსაყოფად;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და კერძო სექტორის მჭიდრო თანამშრომლობა, რომელიც უნდა ემყარებოდეს კარგად გაწერილ სამოქმედო გეგმას რეგიონულ დონეზე;
- რეგიონული შრომის ბაზრის მუდმივი და სისტემური კვლევის მეთოდოლოგია, რაც უზურნველყოფს მონაცემთა გაზიარებას ყველა დაინტერესებულ და საკვანძო მხარეთა შორის შესაბამისი რეაგირებისა და მოქმედებისთვის;
- საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ოპერირების გააქტიურება იმერეთის რეგიონში განათლებასა და დასაქმების ხელშეწყობაზე ორიენტირებული პროექტებით ყველა ნაკვლევი მხარის ჩართვის უზრუნველყოფით (საჯარო, ახალგაზრდები, კოლეჯები....);
- ბიზნეს და სექტორული ასოციაციების გააქტირება და მათი თანამშრომლობის გაძლიერება რეგიონის განათლებისა და დასაქმების პოლიტიკის სრულყოფისა და შემდგომი განხორციელებისთვის;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამისი პერსონალის გადამზადება კერძო სექტორთან თანამშრომლობისთვის, მათ შორის საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით;
- მშობლების, ახალგაზრდების და ზოგადად საზოგადეობის ინფორმირებულობა პროფესიული განათლებისა და მისი დადებითი მხარეების შესახებ;
- მეწარმეობის წახალისება როგორც სკოლის, ასევე პროფესიული განთლების დონეზე (მათ შორის, კოლეჯებში საკონსულტაციო მიმართულების გაძლიერებით);

წინამდებარე კვლევა განხორციელებლუა საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციისა და მისი პარტნიორი გერმანული ორგანიზაციის BWMV e.V. პროექტის - „პროფესიული განათლება და პარტნიორობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში“ ფარგლებში. კვლევაში გამოყენებულ ნებისმიერ ინფორმაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ და მხოლოდ კვლევის ავტორს.

საქართველო, 2021